# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50

## მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 82 კვირა, 3 ნოემბერი, 1918 წ. № 82


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


## განკარგულება ქალაქის მილიციის უფროსისა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ტფილისის მოქალაქეთა განიარაღების შესახებ განკარგულების თანახმად, ყველას საყურადღებოდ ვაცხადებ:

1. ქ. ტფილისის ყველა მცხოვრებნი, გარდა ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეთა, რომელნიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში ითვლებიან, სახალხო გვარდიის წევრებისა, რომელთაც კანონიერი მოწმობა აქვთ მთავარ შტაბიდან, აგრეთვე იმ პირთა, რომელთაც სამსახურის მიხედვით უფლება აქვთ იარაღის ტარების, ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაში წარმოადგინონ სასროლი იარაღი (ვინტოვკები და ყველა სისტემის რევოლვერები პატრონებით) და აგრეთვე ცივი იარაღი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ოფიცრებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ სამსახურში ითვლებიან, შეუძლიანთ იქონიონ ერთი ვინტოვკა და ერთი რევოლვერი, სამხედრო მოხელეებს კი—ერთი რევოლვერი.

2. იარაღის ჩაბარება შეიძლება ტფილისის საკომენდანტო სამართველოში (გოლოვინის პრ., № 7), სასახლის წინ. დღის 9—5 საათამდე. ამასთანავე იარაღის ჩამბარებელს მიეცემა შესაფერი კვიტანცია.

3. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ მიიტანენ საკომენდანტო საკრებულოში თავის რევოლვერებს და ვინტოვკებს, გარდა ამისა, რომ მათ იარაღს კონფისკაციას გაუკეთებენ, თვით ისინი დაპატიმრებული იქნებიან ექვსი თვით და შემდეგ გაძევებული იქნებიან რესპუბლიკის საზღვრებიდან.

4. განკარგულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

მილიციის მოხელეებს ვუბრძანებ თვალყური ადევნონ განკარგულების სისწორით სისრულეში მოყვანას. ამ მიზნით, ნოემბრის ექვს, დილის ათი საათიდან, ყველა მოქალაქენი, რომლებიც ამ დადგენილებას დაარღვევენ დაუყონებლივ უნდა მიეცენ პასუხისგებაში.


# განცხადება

## საექიმო-სასანიტარო განყოფილებასთან

იხსნება პროფ. შიროკაგოროვის ხელმძღვანელობით

## განმეორებითი კურსები

### საეპიდემიო-სასანიტარო საქმის მცოდნე ექიმების კადრის მოსამზადებლათ საქართველოსთვის.

ამ კურსების მოსმენა შეუძლიან ყველა მსურველ ექიმს. დამთავრების შემდეგ ყველას მიეცემათ შესაფერი მოწმობები; რაც შეეხება იმ ექიმებს, რომელნიც ექვემდებარებიან საექიმო-სასანიტარო განყოფილებას და ამავე განყოფილების განკარგულებით იქნებიან გამოწვეულნი კურსების მოსასმენათ, ჩაითვლებიან როგორც სამსახურის გაძო წარგზავნილი. ლექციების კითხვა დაიწყება 5 ღვინობისთვეს საღამოს 5 საათიდან. ქსენიევის ქუჩა, № 10, კურსები უფასოა და გასტანს 6 კვირას.

პ რ ო გ რ ა მ ა: 1) ეპიდემიოლოგია— პროფ. შიროკაგოროვი; 2) ბაქტერიოლოგია— ექ. შუკევიჩი; 3) გიგიენა—ექ. ელიაშვილი; 4) გიგიენა—პროფ. შიროკაგოროვი; 5) კლინიკა (ტიფების) ექ. ვირსელაძე; 6) კლინიკა (მალარიის) ექ. გურკო; 7) კლინიკა (ხოლერის) ექ. მგებროვი.

ყველა ცნობებისთვის მსურველთ უნდა მიმართონ საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში.

993 1—1

# ქალაქის გამგეობა

## იწვევს ექიმებს

რომლებსაც სურთ დაიკავონ 2 თანამდებობა ქალაქის ექიმებისა მე-5 და 6 ნაწილისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იცხოვრონ ხარფუხში და ნავთლუღში. თხოვნები მიიღება მედიკო-სანიტარულ ბიუროში (ქალაქის შენობაში) 16 ნოემბრამდე.

874 2—1

ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ 10-ს ამ ნოემბერს დილის 12 საათზედ დანიშნულია

## წევრთა საგანგებო კრება

თანახმათ § 29 წესდებისა ეს კრება ჩაითვლება კანონიერათ, რამდენიც უნდა წევრი დაესწროს. განსახილველია: მიმდინარე კითხვები, მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 876 1—1

# სახელმწიფო თეატრი

ოპერა,—კვირას 3 ნოემბერს ალეშკოს მონაწილეობით

## პიკის ქალი

მონაწილეობენ: ქ-ბ. ალეშკო, იანსა, მოროზოვა; ბ.ბ. კანშინი, ვრონსკი, ნიკოლსკი, დემიანენკო. დერიჟორი ბ. სტოლერმანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. ორშაბათს, ოთხ ნოემბერს, ქ-ნ ო. ა. შულგინის გამოსვლისათვის „მადამ ბატერფლეი“. სამშაბათს, 5 ნოემბერს—“ევგენი ონეგინი“.

დასის წარმომადგენელი ს. ი. ევლახოვი

# ექიმი ი. კ. აბაკელია

## შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.


## ოფიციალური განყოფილება

# განკარგულებანი

ტფილისის გუბერნიის კომისარისა.

2 აგვისტოს, 1918 წ.

№ 134.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად ჩემს თანაშემწედ დანიშნული ვარლამ იასონის ძე ჩიქოვანი შეუდგა თანამდებობის ასრულებას ამა წლის 1 აგვისტოდან.

№ 135.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად ამა წლის ივლისის 28 დუშეთის მაზრის კომისრად დანიშნულს მოქალაქე პოლიკარპე მელიტონის ძე ლანდიას წინადადებას ვაძლევ შეუდგეს თანამდებობის აღსრულებას.

№ 136.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად ჩემი თანაშემწის თანამდებობის აღმსრულებლად დანიშნული კონსტანტინე ირაკლის ძე კალანდარაშვილი შეუდგა თანამდებობის აღსრულებას ამა წლის 1 აგვისტოდან.

№ 137.

მოქალაქე რუდოლფი ივანეს ძე დირკო განთავისუფლებულია მანგლისის უბნის, ტფ. მაზ. მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობიდან.

№ 138.

მოქალაქე კალენიკე სებასტიანის ძე კვაჭაძე დანიშნულია მანგლისის უბნის კომისარისა და მილიციის უფროსის თანამდებობაზე.

№ 140.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად თიონეთის მაზრაში დროებით გაგზავნილი მაჩაბლიშვილი განთავისუფლებულია თიონეთის მაზრის კომისრის თანამდებობის დროებით აღსრულებიდან.

№ 148.

მოქალაქე ლევან სიმონის ძე ყიფიანი დანიშნულია გურჯაანის უბნის მილიციის უფროსის სიღნ. მაზ. და კომისრის თანამდებობაზე ამ რიცხვიდან.

№ 149.

მოქალაქე ალექსანდრე მაქსიმის ძე ხარებავა დანიშნულია მაჩხაანის, სიღნ. მაზ. მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობაზე.

№ 150.

მოქალაქე სიმონ გიორგის ძე დვალაძე დანიშნულია ქოდალოს უბნის, სიღნ. მაზ., მილიციის უფროსისა და კომისრის თანამდებობაზე.

№ 151.

მოქალაქე ს. ოგანოვი დათხოვნილია გურჯაანის უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის თანამდებობიდან ამ რიცხვიდან, მისი თხოვნის თანახმად.

№ 152.

მოქალაქე ზ. ბ. ბეჟანაშვილი დათხოვნილია მაჩხაანის, სიღნ. მაზ., მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობიდან მისივე თხოვნის თანახმად.

№ 153.

მოქალაქე ნიკოლოზ ციციშვილი დათხოვნილია ქოდალოს უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის თანამდებობიდან, მისივე თხოვნის თანახმად.

№ 154.

ტფილისის გუბ. ბათალიონის უფროსად დაინიშნა ალექსანდრე ივანეს ძე შაძურინი, რომელსაც წინადადებას ვაძლევ ჩაიბაროს პოლკოვნიკ ხარაძისაგან ძფრიხავ რაზმის მთელი ქონება და დაუყონებლივ შეუდგეს გუბერნიის ბათალიონის შედგენას.

№ 155.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად, გორის მაზრის კომისრად დანიშნულს ივანე ანტონის ძე არონიშიძეს წინადადებას ვაძლევ შეუდგეს თანამდებობის აღსრულებას.

12 აგვისტოს, 1918 წ.

№ 158.

მოქალაქე ალექსანდრე ისიდორის ძე სარჯველაძე დანიშნულია ქსანის, დუშეთის მაზ., უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის ამსრულებლად ამ რიცხვიდან.

№ 160.

მოქალაქე ესტატე შუშიაშვილი დათხოვნილია ბაზალეთის უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის თანამდებობის ასრულებიდან ამ რიცხვიდან.

№ 161.

მოქალაქე ანტონ კაციას ძე ელენტი დანიშნულია გორის მაზრის კომისრის უმცროს თანაშემწის თანამდებობაზე.

№ 162.

ტფილისის მაზრის კომისრის უმცროსი თანაშემწე მოქალაქე რაჟდენ რაჟდენის ძე ჯავახიშვილი იგადაყვანილია იმავე თანამდებობაზე გორის მაზრაში.

№ 163.

გორის მაზრის კომისრის უმცროსი თანაშემწე მოქალაქე ანტონ კაციას ძე ელენტი გადაყვანილია ტფილისის მაზრაში იმავე თანამდებობაზე.

164.

მოქალაქე პაჩო (სოლომონი) ლევანის ძე ჟორდანია დანიშნულია ბორჯომის უბნის კო-

მისრიისა და მილიციის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე.

№ 167.

მოქალაქე გიორგი მაქსიმეს ძე ძნელაძე დანიშნულია ბაზალეთის უბნის კომისრისა და მილიციის უფროსის თანამდებობაზე.

№ 169.

მოქალაქე ვალერიან სამსონის ძე ქუთათელაძე დათხოვნილია თიონეთის მაზრის კომისრის თანაშემწის თანამდებობიდან.

№ 170.

მოქალაქე სიმონ კატრამის ძე ჩიქოვანი დანიშნულია თიონეთის მაზრის კომისრის თანაშემწეთ.

№ 171.

პორუჩიკი სოზონისი კონდრატის ძე ჩაჩიბაია დანიშნულია ჩემს ადიუტანტად.

№ 172.

პრაპორშჩიკი გიორგი დავითის ძე ჯილაური დათხოვნილია სართიჭალის მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობიდან.

№ 206.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: მოქალაქე ლევან სამსონის ძე ყიფიანი გურჯაანის, სიღნ. მაზ., მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობიდან ამა წლის სექტემბრის 16-გან.

№ 207.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: მოქალაქე ვასილ იაგორის ძე ალუჩიშვილი გურჯაანის უბნის მილიციის უფროსისა და უბნის კომისრის თანამდებობაზე, ამა წლის სექტემბრის 16-დან.

№ 208.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: მოქალაქე სიმონ გიორგის ძე დვანაძე ქოდალოს უბნის. სიღნ. მაზ. მილიციის უფროსის და უბნის კომისრის თანამდებობიდან, ამა წლის სექტემბრის 12-დან.

№ 209.

მილიციის უფროსი და კომისარი მაჩხაანის უბნისა, სიღნ. მაზ., ალექსანდრე მაქსიმეს ძე ხარებავა გადაყვანილია ასეთივე თანამდებობაზე ქოდალოს უბანში, ამა წლის სექტემბრის 12-დან.

№ 210.

მოქალაქე იოსებ იოსების ძე გომელაური დანიშნულია მაჩხაანის მილიციის უფროსის და უბნის კომისრის თანამდებობაზე, ამა წლის სექტემბრის 12-დან.

გუბერნიის კამისარი მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე.

შრომის მინისტრისა.

15 ოქტომბერი, 1918 წ.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: სამინისტროს მდივნათ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბახტაძე 15 ოქტომბრიდგან 1918 წ.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ე რ ა ძ ე.

მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტება მთავარ საადგილ-მამულო მმართველობას.

5 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 3461.

თქვენის შეკითხვის პასუხად, რა წესით უნდა გადაწყდეს დავა მემამულეთა და გლეხებს შორის ლალის გადახდის გამო, რამდენადაც ეს საკითხი შეეხება იმათს დამოკიდებულებას ამა წლის ნოემბრის პირველამდე, წინადადებას გაძლევთ შემდეგის წესებით იხელმძღვანელოთ:

1) ზემოდ მოხსენებული დავა უნდა გადასწყვიტონ მაზრის საადგილ-მამულო მმართველობათ, რომელთაც, როდესაც მიიღებენ მემამულეთა ჯერლოვანს თხოვნას გლეხთა მიერ ლალის გარდახდის შესახებ, სხდომა უნდა დანიშნონ სამის წევრისაგან შემდგარი, უნდა დაიბარონ ორივე მხარე და, მოისმენენ-რა იმათს საბუთებს, დაადგინონ გარდაწყვეტილება გარდასახდელ ლალის რაოდენობის შესახებ, დანიშნონ ვადა ლალის გარდასახდელად ერთს თვეზედ არა უხანგრძლივესი და აუხსნან გლეხებს, რომ საჭიროა მათ ნებაყოფლობით ალასრულონ ეს გარდაწყვეტილება, რათა იძულებით არ გარდახდეთ ლალა ადმინისტრაციის შემწეობით.

2) რადგანაც 1917 წლის 16 დეკემბრისა და 1918 წლის 7 მარტის დეკრეტის ძალით, მემამულეებს დატოვებული აქვთ განსაზღვრული რაოდენობა მიწისა, იმათ ლალა ერგებათ გლეხებისაგან მხოლოდ გლეხთა მიერ ამ რაოდენობის მიწის სარგებლობისათვის და ეს ლალა უნდა მიეცეთ როგორც 1918 წლისა, ისევე გასულ 1917 წლისა. იმ რაოდენობაზედ გარდამეტებულ მიწებისთვის კი, რომელიც სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდს უნდა დაეკუთვნოს, მემამულეებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ რამე როგორც ამ წლისა, ისე წარსულის წლისა.

3) 1917 წლის იჯარის რაოდენობის გამორკვევის დროს უნდა იხელმძღვანელონ ამასთანავე დართულ ამიერ-კავკასიის კომიტეტის 1918 წლის 14 აგვისტოს დადგენილების ამონაწერით და ამასთანავე მხედველობაში იქონიონ, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, რომ მემამულეს ერგება მხოლოდ კანონით მათ საკუთრებად დატოვებულ მიწის რაოდენობის ლალა და რადგან 1918 წელს მუშისა და თესლის ფასმა უფრო აიწია, 1918 წლის იჯარის ფულის განსაზღვრის დროს მისი რაოდენობა ჩვეულებრივ დადგენილ ლალასთან შედარებით ორის ხარისხით უნდა შემცირებულ იქმნას, ხოლო ეს შემცირებული ლალა $^{1}/_{10}$-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

4) იჯარის გარდასახადი ფულად უნდა იყოს ნაანგარიშევი და ამასთანავე 1917 წლის შესახებ უნდა იხელმძღვანელონ გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ფასებით, ხოლო 1918 წლისათვის მოსავლის იმ ჩვეულებრივი ფასით, რომელიც მოსავლის მოკრების დროს წრეულს იმ ადგილას არსებობდა. გლეხებს უფლება უნდა მიეცეთ ლალა ფულის ნაცვლად ჰირნახულით გარდაიხადონ.

5) თუ მამული კომისიას ჯერ მიღებული არა აქვს, დავის განხილვა და გარდაწყვეტა უნდა გადაიდოს მამულის მიღებამდე და მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, თუ ვინიცობაა მემამულე გაჭირვებულია, ორისავე მოდავე მხრის მიერ წარმოდგენილ საბუთებით გამოირკვეს წინასწარვე ის უმცირედესი რაოდენობა ლალისა, რომელიც დავის გარეშე ეკუთვნის მემამულეს, ისე კი, რომ მამულის მიღების შემდეგ გარდაწყვეტილება იქმნას დადგენილი. ამასთანავე მემამულეებს უფლება აქვთ ეს უმცირესი რაოდენობა მიიღონ სასურსათო სამინისტროსაგან, თუ ამ სამინისტროს მოუკრებია ასეთის მიწებისაგან ნაწილი ჰირნახულისა.

6) მაზრის საადგილ-მამულო მმართველობის გარდაწყვეტილება საბოლოოა და მათი გასაჩივრება შეიძლება მთავარ საადგილ-მამულო სამმართველოში—მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონია დარღვეული, და ასეთი საჩივარი გარდაწყვეტილების აღსრულებას ვერ შეაჩერებს.

7) თუ ვინიცობაა რაიმე ეჭვი დაიბადა ამ წესების მოქმედების დროს, საადგილ-მამულო მთავარ სამმართველოს უნდა შეეკითხნენ.

8) მაზრის საადგილ-მამულო სამმართველოების მიერ განსაზღვრული რაოდენობა სასყიდელისა გლეხებს შეუძლიანთ ან პირდაპირ მემამულეებს გარდასცენ და ან მაზრის ადგილ-მამულის მმართველობას წარუდგინონ, რომელმაც გლეხებს ბარათი უნდა მისცეს ფულის მიღებისა და ფული კი მემამულეებს გარდასცეს გარდაწყვეტილების თანახმად.

9) თუ გლეხებმა გარდაწყვეტილება არ შეასრულეს და ამის გამო მემამულემ საჩივარი შეიტანა, მაზრის საადგილ-მამულო მმართველობამ უნდა დაიბაროს გლეხები და, დარწმუნდება რა, რომ იმათ არა სურთ გარდაწყვეტილებას დაემორჩილონ, წინადადება უნდა მისცენ სამაზრო ადმინისტრაციას, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს, რათა დაუყოვნებლივ გარდახდეთ გლეხებს მათგან მისჯილი სასყიდელი.

10) გარდაწყვეტილების აღსრულებისა გამო აღძრული დავაც მაზრის საადგილ-მამულო სამმართველოებმა უნდა განიხილონ.

11) დროებით ვალდებულ გლეხებისათვის მიზომილ მიწებისა და ხიზანთა იმ მიწებისათვის, რომელიც სახაზინო ოქმებშია აღნიშნული, მემამულეებს არავითარი ლალა არ ერგებათ.

—

ამიერ-კავკასიის კომიტეტის 1918 წლის 14 აგვისტოს ჟურნალის ამონაწერი.

თავმჯდომარეობდა ვ. ა. ხ ა რ ლ ა მ ო ვ ი.

დაესწრნენ წევრნი: მ. ი. ჯ ა ფ ა რ ო ვ ი და პ ა პ ა ჯ ა ნ ო ვ ი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) ის რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მამულების ლალისა, რომელიც მემამულეებს ჩვეულებისამებრ, მოსავლის ნაწილის სახით ეძლეოდა, ამა მიმდინარე წელს ერთის ხარისხით შემცირებულ იქმნას, ე. ი. $^{1}/_{4}$-ის ნაცვლად უნდა გარდახდილ იქნას $^{1}/_{5}$, $^{1}/_{5}$-ს ნაცვლად $^{1}/_{6}$ და ასე ამგვარათ, ხოლო არა ნაკლებ ერთის მეათედისა.

2) მამულის პატრონთა კუთვნილი იჯარა ჰირნახულად უნდა შეფასდეს ფულად იმ ფასების მიხედვით, რომელიც დადგენილი აქვთ სასურსათო კომიტეტებს, და ჰირნახულის ნაცვლად მოიჯარადრეებისაგან მემამულეებს ფული უნდა მიეცეთ.

## არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 3 ნოემბერი

საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას მრავალი ვერ ურიგდება. ჯერ იყო და მის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს მას გარედან თავს ესხმოდა საშიში მტერი, რომლის მიზანი იყო მისი სრული განადგურება და ფეხქვეშ გათელვა. მაგრამ საქართველოს ასცდა მისი სიცოცხლის მოსასპობათ მოქნეული ხმალი და სიკვდილს გადარჩა. ბრძენი ხელმძღვანელების მეოხებით მან შესძლო თავისი არსებობა შეენარჩუნებია და მის განმტკიცებაზე ეზრუნა. ამ მხრივ მან საქმე შორს წაიყვანა და დაუღალავი ენერგიული მუშაობით საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. და ამ მიმართულებით დღესაც განაგრძობს მუშაობას და სრული იმედია, რომ ეს მუშაობა საქართველოს საკეთილდღეოთ დაგვირგვინდება: საერთაშორისო მდგომარეობაში საქართველო თავისი სახით შედის, საერთაშორისო რგოლთა შორის ერთ რგოლათ ხდება. და, აი, ეს მოვლენა ათასჯერ უფრო აბრაზებს შინაურ მტრებს, მტრებს, რომელნიც სულით და გულით მოწადინებულნი არიან, რომ საქართველო დაეცეს და დაიღუპოს.

საგარეო ფონდზე საქართველომ შესძლო გამარჯვება მიეღო.

მაგრამ არც შინაურ ფრონტებზე ყოფილა მისი საქმე ცუდათ მიუხედავათ მტრის მრავლიანობისა,—მან იგი ყველგან დაამარცხა და ყველგან გაუსწორდა მათ. საქართველომ პირველათ ყოვლისა ლიკვიდაცია უყო გამხრწნელ-მრღვეველ ბოლშევიზმს და მოიგერია მისი ლოზუნგებით წამოსული კონტრ-რევოლიუციონური სასტიკი მტერი. ეს დიდი ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის სრული გამარჯვებით დასრულდა.

სხვა მრავალ ფრონტზეც მოუხდა საქართველოს ბრძოლა. მრავალი იერიში კონტრ-რევოლიუციონერებისა და რეაქციონერებისა უკუაგდო და მათი წამოსვლა ამაოთ ჰყო.

26 მაისიდან მოკიდებული იგი იარაღით წამოსულს იარაღით ებრძოდა გმირულათ, დასიტყვით წამოსულს სამაგიერო შესაფერ პასუხს სცემდა.

საქართველოს რესპუბლიკა ამ ბრძოლაში ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე იდგა და ისეთი ზომისათვის არასოდეს არ მიუმართავს, რაც დემოკრატიის თვალში დასაძრახისი ყოფილიყოს!

ყველა მტერს, რომელთანაც მას საქმე ჰქონია, პასუხს აძლევდა და ამ გვარათ შინაურ ფრონტზე გამარჯვებული გამოდიოდა. ამ მხრივ დაუძინებელმა მტრებმა საქართველოს ვერაფერი დააკლეს და ბრძოლაში გამობრძმედილი საქართველოს დემოკრატია დამღუპველ ხრამში ვერ გადასჩეხეს. მაგრამ მტრები მაინც განაგრძობენ ბრძოლას. განაგრძობენ ბრძოლას არა პირდაპირს და აშკარას, არამედ მალულს, და ფარულს. დღეს მათ ბრძოლის სხვა საშუალებებს მიმართეს და ქურდულად მოპარვით, ზურგში მახვილის ჩაცემით ფიქრობენ საქართველოს გაუბედურებას. ფარული გამოსვლებით, აფეთქებით, მატერიალური ზარალით ლამობენ ჩვენს განადგურებას.

იარაღით და იდეიურ ბრძოლაში დამარცხებულნი და გაკოტრებულნი,—დღეს სცდილობენ მატერიალურათ, ზურგიდან თავდასხმით, აფეთქებით ლაჩრულათ გაგვისწორდენ.

მაგრამ ახსოვდეთ დაუძინებელ და გულღვარძლიანებს:

საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს დემოკრატია უკანასკნელ შესაძლებლობამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სასტიკათ იბრძოლებს მათ წინააღმდეგ, იბრძოლებს და ნებას არავის მისცემს, რომ მისი დამოუკიდებლობა და კეთილყოფა ვინმეს შეალახვიოს.

—

## საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

გუშინ გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის საიმფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე პროფესორი ცუგმაიერი ესაუბრა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგ პოლიტიკურ საკითხთა შესახებ.

ბერლინიდან დამატებითი ბრძანება გერმანიის ჯარის საქართველოდან გაყვანის შესახებ.

პირველ ბრძანებაში, რომელიც გერმანიის აქაურმა დელეგაციამ მიიღო გერმანიის საქართველოში მყოფ ჯარის ნახევარ ნაწილის სამშობლოში გაგზავნას შეეხებოდა, იყო ნათქვამი, რომ ჯარის მეორე ნაწილის შესახებ იქნება განსაკუთრებული ბრძანებათ. გენერალ ფონ-კრესმა გუშინ-წინ საღამოს მიიღო სწორედ ეს განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, დამატებითი ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია გენერალ ფონ-კრესის მეთაურობით რჩება თბილისში, რჩება აგრეთვე ნაწილი გერმანიის ჯარისა. ჩვენი შეხედულებით უნდა დარჩეს საქართველოში გერმანელი ჯარის უმეტესი ნაწილი, რომელიც შეადგენდა ქ. თბილისის გარნიზონს. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ გენერალ ფონ-კრესს თავის სამ შუამდგომლობაზე, რომელიც შეეხება გერმანიის ჯარის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენას, პასუხი ბერლინიდან დღემდე არ მიუღია. პასუხი არ მოსვლია გენერალს არც ერთ შუამდგომლობაზე.

ჯარის გასაგზავნათ მზადება გრძელდება. თუმცა ოფიციალურად ჯერ არაფერი ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ნაწილი გერმანიის ჯარისა, რომელიც იყო ფოთში, უნდა გაგზავნილ იყოს უკვე გერმანიაში ბრაილოვზე ჯარის გაგზავნას საქართველოდან ხელს ვერ შეუშლის სერიოზულად, მაგრამ რამოდენიმე დღით შეიძლება შეაფერხოს ტრანსპორტის საქმემ საზოგადოთ.

ქსნის ხიდის გაფუჭება.

ვისი საქმეა ქსნის ხიდის აფეთქება ჩვენ ჯერ არ ვიცით, მხოლოდ გვაქვს იმედი, რომ ამას გამოარკვევს მკაცრი გამოძიება. ჩვენ ეს გარემოება მაინცა და მაინც ვერ შეგვიშლის ხელს, ხიდის ზედა კორპუსი მთელია, დაზიანებულია მხოლოდ მისი რამდენიმე წინა ნაწილი, ასე რომ მთელი მატარებლის ერთბაშათ მასზე გასვლა საშიშია, მხოლოდ ცალცალკე ვაგონების გაყვანა კი შეიძლება. ყოველ შემთხვევაში ხიდი სულ მოკლე ხანში სრულიად შეკეთდება და მიმოსვლა აღდგენილ იქნება; გუშინ საღამოს გერმანელი საპიორები უკვე გაემგზავრენ იქ და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი მალე შესძლებენ ამას.

გერმანიის ოკეანეს გემი „გენერალი“ შავ ზღვაში.

ხმები, ვითომც გერმანიის დიდი გემი „გენერალი“ შავ ზღვაში დაღუპულიყო, არ შეიცავს სიმართლეს. ამ ხმებს ალბათ აქვს კავშირი ავსტრიის გემის დაზიანებასთან, რომელიც ამას წინათ სევასტოპოლიდან გაემგზავრა ავსტრიაში, მაგრამ, როგორც ვიცით, გზაზე დაზიანდა და სევასტოპოლში დაბრუნდა უკან. ეს იყო ერთად-ერთი მაგალითი, რომ გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის გემებს, შავ ზღვაზე შეხვედროდა რაიმე ხიფათი ამ მხრით.

ოსმალეთი და სეპარატიული წინასწარი ზავი.

ოსმალეთიდან ცნობები მოდის რადიო სადგურს „ოსმანიეს“ ჯერ არ შეუწყვეტია მუშაობა და კავშირი ჩვენთან. დადასტურებული ფაქტია, რომ ოსმალეთს და ინგლის-საფრანგეთ შორის წინასწარი ზავი უკვე შეკრულია და ოსმალეთის სუყველა ფრონტზე ამის გამო საომარი მოქმედება შესწყდა. წინასწარ ზავის პირობებზე ჯერ ჩვენ არაფერი ვიცით, მხოლოდ ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს ინგლისის და საფრანგეთის ჯარი მანამდე არ უნდა შემოვიდეს სტამბოლში, სანამ გერმანიის ჯარი, რომელიც ოსმალეთში არის, არ დაბრუნდება უკან სამშობლოში. რაოდენობა გერმანიის ჯარის, რომელიც ამ ჟამად ოსმალეთში იმყოფება, მე დაწვრილებით არ ვიცი, მხოლოდ ვფიქრობ, რომ სამოცი ათასი ჯარისკაცი, რომელზედაც აქაური ზოგიერთი გაზეთები სწერდენ, იქნება გარდა სტამბოლის და დარდანელის რაიონებში, სირიაში და სხვა ადგილებში კიდევ რამდენი გერმანელია, ძნელი სათქმელია. თუ, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობა დასთანხმდა ოსმალეთის ამ მოთხოვნილებაზე, იმ შემთხვევაში გერმანიის ჯარის სამშობლოში დაბრუნებას დიდი დრო მოუნდება, რადგანაც ეს ჯარი უნდა იქნას გერმანიაში გაგზავნილი შავი ზღვით ბრაილოვზე, რადგანაც ბულგარეთზე, ვეჭვობ, რომ შეიძლებოდეს ამ ჯარის გატარება. შეიძლება საფრანგეთი და ინგლისი დასთანხმდენ ამაზე, მაგრამ მე, ვიმეორებ, ეს საეჭვოთ მიმაჩნია.

გერმანია და პრეზიდენტი ვილსონი.

პრეზიდენტ ვილსონის პასუხი გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა წინასწარ ზავის შეკვრას, ბერლინში დღემდე არ მიუღიათ. ამიტომ ჯერ კიდევ აწარმოებენ სამხედრო ოპერაციებს.

### დასავლეთის ფრონტზე.

დასავლეთის ფრონტზე საომარი ოპერაციები ჯერ კიდევ სწარმოებენ. აქ აღსანიშნავია შემდეგი: ბელგიის ზოგიერთი ადგილები, როგორც ვიცით, ზღვის პირის დონეზე ძირსაა, ამიტომ წყალი შეჩერებულია ხელოვნურად. გერმანიის ჯარმა გახსნა ეს წყლის დასაკავებელი „დამბები" და ბევრი ადგილები ბელგიაში წყლით არის დაკავებული, რაც, რასაკვირველია, მეტად აფერხებს გერმანიის მტრის საომარ მოქმედების წარმოებას; ერთი სიტყვით ჩვენ ამ შემთხვევაში იგივე ჩავიდინეთ, რაც ბელგიელებმა 1914 წ. ჰქნეს იპრთან.

### ავსტრო-უნგრეთის მდგომარეობა.

ავსტრო-უნგრეთი შეიძლება ვსთქვათ, დაირღვა. დაარსდა მისი ნაწილებისაგან შემდეგი სახელმწიფოები: ვენგრია, სამხრეთ-სლავიანების სახელმწიფო, ჩეხო-სლოვაკია და ავსტრია-გერმანიის მცხოვრებთან შემდგარი და სხვ. მხოლოდ გალიციის შესახებ ჯერ არაფერი ცნობა არა გვაქვს.

ავსტრიის ნაწილებათ დაყოფის დროს არ მომხდარა არავითარი განსაკუთრებული ექსცესები, იქ სხვა და სხვა, ქალაქებში, როგორც ვენაში, ბუდაპეშტში და სხვა, ჰქონდა ადგილი მშვიდობიან მანიფესტაციებს. ავსტრიის და იტალიას შორის წინასწარი ზავის ხელშეკრულების შინაარსი ჩვენ ჯერ არ ვიცით. მხოლოდ ცნობებიდან სჩანს, რომ ავსტრიის დელეგაცია უკვე მივიდა იტალიის უმთავრეს სამხედრო ბანაკში, სადაც მოლაპარაკება, საზოგადოთ, გრძელდება.

### ავსტრო-უნგრეთის ნაწილებისაგან შემდგარი ახალი სახელმწიფოები.

ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ნაწილებისაგან შემდგარ სახელმწიფოებში დიდი სიჩქარით დაარსდენ უკვე მთავრობები, რომელსაც ხალხი ემორჩილება. ვენგრიაში საზოგადოდ და კერძოდ ვენგრიის დედა ქალაქში დიდი აღფრთოვანებაა. ქალაქი მორთულია ბაირაღებით, მშვიდობიან მანიფესტაციებს ბოლო არ უჩანს. პროკლამაციაში, რომელიც გამოსცა ვენგრიის მთავრობამ, არ არის უარყოფითი აზრი იმპერატორ კარლის მიმართ, მხოლოდ ჩეხების პროკლამაციაში კი პირდაპირ არის ნათქვამი „ყოფილი მეფე კარლოსი".

ბოჰემიაში მყოფი გერმანელები გამოსთქვამენ სურვილის, რათა ისინი შეერთებული იქნენ გერმანიის იმპერიასთან, მხოლოდ საზოგადოთ ავსტრიის გერმანელებს, მათი კომპაქტური მასა, (შტირია, ვენის რაონი და სხვა), რომლის რაოდენობა 12 მილიონს შეადგენს, ჯერ არ გამოუთქვამთ თავის აზრი ამ მეტათ რთულ და დიდმნიშვნელოვან კითხვაზე. საზოგადოთ ავსტრო-უნგრეთში 16 მილიონზე მეტი გერმანელი სცხოვრობს.

ვენგრია მეტად მდიდარი ქვეყანაა და თუმც ინდუსტრია არ არის განვითარებული და არც ზღვაში გასავალი ადგილი ექნება, მაგრამ ჩემი რწმენით ის მაინც შესძლებს კერძო სახელმწიფოს დაარსებას.

ავსტრო-უნგრეთის ჯარის ნაწილებს, რომელიც იმყოფებიან, როგორც დასავლეთ ისე სხვა ადგილებშიაც, უკვე აბრუნებენ უკან სამშობლოში.

არის მოკლე ცნობა, ვითომც გრაფი ტისა მოკლულ იქნა ჯარის კაცის მიერ სეირნობის დროს, ეს ცნობა ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული.

### გერმანია და უკრაინა.

უკრაინიდან საზოგადოთ და კერძოთ ოდესიდან გერმანიას ჯარი არ გაჰყავს. ამას არც რაიმე მდგომარეობა და არც ხელშეკრულება მოთხოვს. როგორც თქვენც მოგეხსენებათ, უკრაინაში ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის ჯარი დაჰყოფს მხოლოდ მანამდე, სანამ თვით უკრაინა არ შეადგენს საკმარის თვით თავის ჯარს.

### გერმანიის ვითარება.

გერმანიაში არსად რაიმე უწესოებას არ ჰქონია ადგილი.

---

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ეხება საქართველოს და გერმანიის დამოკიდებულებას და სწერს:

„გერმანია შემოვიდა ჩვენში როგორც მეგობარი, რომელსაც სურდა და სურს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სიმდიდრით ისარგებლოს და თავის მრეწველობის ნაკლი დასამუშავებელ მასალისა შეივსოს.

საქართველომ მიიღო გერმანია, როგორც მფარველი ოსმალეთის შემოსევისაგან და გადამრჩენი ქვეყნის აწიოკებისა და ამოჟლეტისაგან.

და გერმანიამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. ჩვენში არ ჰქონია ადგილი არც ბაქოს საშინელ სამ დღეს, არც აწიოკებას. საქართველომ შეინარჩუნა არსებობა და რამდენადაც კი შეიძლებოდა სულ ორიოდე თვის განმავლობაში განამტკიცა და გაამაგრა თვისი შინაური წყობილება".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ წინასწარმეტყველება არ გამართლა, და გერმანიის აქ ყოფნის დროს ჩვენ შევძელით რევოლიუციის მონაპოვარის გამტკიცებაო და დაასკვნის:

„გერმანიის ჯარის შემოსვლამ არა თუ ხელი არ შეუშალა, პირიქით შეგვანარჩუნა პირობები ამ რეფორმების გატარებისათვის. ამრიგათ, ჩვენი მეგობრული განწყობილება გერმანიასთან ურყეველია.

დღეს, როდესაც გერმანია უდიდეს შინაგან რეფორმას განიცდის, როცა მის სათავეში ხალხის წარმომადგენლობის ნდობით აღჭურვილი მთავრობაა ჩამდგარი, ჩვენს ინტერესთა შეთანხმებას თან ერთვის სიმპატია დემოკრატიული, რევოლიუციური ქვეყნისა და წრეები დემოკრატიულ ნიადაგზე გადასულ სახელმწიფოსადმი. ეკონომიურ და ზოგიერთ პოლიტიკურ ინტერესთა შეთანხმებას, თან ერთვის ღრმა სოციალური სოლიდარობა დემოკრატიისა დემოკრატიისადმი.

პარლამენტარული და დემოკრატიული გერმანია ყოველთვის იქნება საუკეთესო მეგობარი ჩვენთვის.

სამშობლო მაქრსის და ენგელსის, სადაც უკვე მის იდეის მიმდევართა ლოზუნგების განხორციელება ედება საფუძვლათ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას—ჩვენი სრული თანაგრძნობით ისარგებლებს. გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც საზავო მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, კვლავ ხდება ხელმძღვანელი და წასაბაძი მთელ ქვეყნის მუშათა კლასისათვის.

და რამდენათ ეს კლასი მართველობას უახლოვდება, რამდენათ მისი ხმა—სახელმწიფოებრივ ხმათ ხდება, იმდენათ ჩვენი თანაგრძნობა და სოლიდარობის გრძნობა თვით გერმანისადმი იზრდება.

თუ დღემდე გერმანიის დახმარებას ჩვენდამი მშრალი ანგარიში ედვა საფუძვლათ, დღეიდან მას ახალი მოტივები დაემატება უკვე სოციალ-პოლიტიკური ხასიათისა. დემოკრატიულ გერმანიასთან ჩვენ საერთო ენას ვპოვებთ არა მხოლო დიპლომატიაში, არამედ სიერთო მიზნების და სოციალურ მისწრაფების განხორციელებაში.

მართალია, ის რეფორმები, რომელიც დღემდე განხორციელდა გერმანიაში კიდევ არ ნიშნავს მილიტარიზმის შემუსრავს, მარა იუნკრების გავლენას იგი უეჭველათ აუქმებს, მილიტარისტულ მისწრაფებასაც ზღუდავს და ამით ნიადაგს უმზადებს, მსოფლიო მილიტარიზმის ქვეშ საფუძვლის გამოთხრას.

საქართველოს დემოკრატია ასეთ მუშაობას მთელი თავის ძალ-ღონით მიემხრობა და მხარს დაუჭერს.

ამ რიგათ, გერმანიასა და საქართველოს შორის დღეიდან შესაძლებელი ხდება უფრო მკვიდრი იდეური კავშირის გაბმა, რაც ამ ორ სახელმწიფოთა მეგობრულ კავშირს კიდევ უფრო გააძლიერებს".

***

გაზეთი „სახალხო საქმე" იხილავს საერთაშორისო პირობებში ინტერესთა წინააღმდეგობას და ამბობს:

„ზოგიერთი წრეების აზრი, რომ ჩვენი მეგობრობა გერმანიასთან შეიძლება ინგლისის მხრით მტრული განწყობილების საბაბად გადაიქცესო, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა. საზავო მოლაპარაკება ისე საფუძვლიანად შესცვლის ძალთა-განწყობილებას, ეროვნული ინტერესები და სხვა და სხვა ერთა განთავისუფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება ჩვენს საუკუნეში ისეთს დიდს როლს ითამაშებს მომავალ საშვიდობო კონფერენციაზე, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენს მომავალს უიმედოდ ვუცქიროთ. საჭიროა მხოლოდ შინაგანი ორგანიზაციის განმტკიცება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის შექმნა იმ დროისთვის, როდესაც ეს საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე დაისმება.

მხოლოდ მაშინ გველირსება ხსნა, მხოლოდ მაშინ გაუწევენ ანგარიშს ჩვენს დამოუკიდებლობას, როდესაც ძლიერნი ვიქნებით სახელმწიფოებრივი ორგანიზაციით და ეროვნული შემოქმედებით.

ჩვენი გულისყურიც სავსებით აქეთკენ უნდა იყოს მიმართული".

***

წარმოების განვითარების სისუსტეს და შრომის ნაყოფიერების დაცემას ეხება გაზ. „შრომა" და სწერს:

„ყველა ეს დღეს ისე საგრძნობი შეიქნა, რომ შრომის სამინისტროს უკვე მიუქცევია ამისთვის ყურადღება. ანკეტისა და სხვა საშუალებებით ის სცდილობს გამოარკვიოს შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზები. ეს ნაბიჯი მეტად საჭირო და დროულია. შრომის ნაყოფიერობის დაცემის ხიზეზების გამორკვევას უნდა მოჰყვეს ამ მიზეზებთან მედგარი და მიზან-შეწონილი ბრძოლა. მოწინავე მუშები თვითონ კარგად გრძნობენ ამის საჭიროებას და შესაფერ ზომებს ღებულობენ. მუშათა მოწინავე ელემენტებს სურთ შეებრძოლონ არა მარტო გარეშე და ობიექტიურ პირობებს, რომლებიც აფერხებენ ჩვენში მწარმოებელ ძალთა განვითარებას, არამედ ისინი ბრძოლას უცხადებენ თვით თავის ამხანაგებსაც, რომლებსაც თავის შეუგნებლობით და შრომის დისციპლინის უქონლობით დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოების პროცესში... ეს აუცილებელია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაჯანმრთელებისათვის და ჩვენი თავისუფლების განმტკიცებისათვის, ვინაიდან აშკარაა, უფლებას ის შეინარჩუნებს, ვისაც მოვალეობა ესმის..."

***

ამავე საკითხს ეხება გაზ. „ერთობა" და ასეთ დასკვნას აკეთებს:

„საქართველოს რესპუბლიკას ჯერ კიდევ არა აქვს საფრთხე აცილებული გარეშე მტრებისაგან, მას ჯერ კიდევ მრავალი მტრები ჰყავს, რომელნიც მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიან, რომ მოულოდნელად თავს დაესხან და ზურგში მახვილი ჩასცენ, საქართველოს დემოკრატიამ და მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ შესძლო შინაური ანარქიის ჩაქრობა და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცდენა. ვინაიდან ყოველი პოლიტიკური ბრძოლა სოციალური მოვლენის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხარე კი—ეკონომიური,—ამისათვის თითოეული ჭეშმარიტ დემოკრატის მოვალეობაა მთელი მისი ენერგია ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობის მოწესრიგებას შესწიროს, მთელი მისი ნიჭი და გამოცდილება მის აყვავებას და აღორძინებას მოახმაროს.

ყოველი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება წარმოების და მოძრაობის შეჩერებისა და დაცემისაკენ,—შეგნებულ დემოკრატიულ წრეებში დაგმობილ და გაკიცხულ უნდა იქნან.

და მხოლოდ მაშინ ვიქნებით ერთგული დარაჯნი და შემოქმედნი ჩვენი ქვეყნისა, საქართველოს მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს საზოგადოებრივ ნდობას, სიყვარულს და საეთაშორისო ოჯახშიაც საპატიო ადგილს დაიჭერს".

---

## სომხური პრესა

„ორიზონი" თავის 224 ნომერში შემდეგსა სწერს ნოემბრის 10-სთვის მოწვეულ კონფერენციის შესახებ:

„უნდა ცხადათ ვთქვათ,—ამბობს გაზეთი, რომ მოწვეული კონფერენცია ბევრ ეჭვებს ბადებს.

ჩვენთვის გაუგებარი რჩება პირველათ ის, თუ საქართველოს მთავრობამ იმისთანა მძიმე და სასიცოცხლო საკითხში, როგორიც არის მოსაწვევი კონფერენცია, რატომ საჭიროთ არ ნახა შეთანხმება მოეხდინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთანერთათ შეემუშავნათ დღის წეს-რიგი და მერე დაენიშნა კონფერენცია, და მეორეთ ის, თუ რატომ იგივე მთავრობა მაგისთანა წინადადებით არ გამოვიდა იმ დროს, როცა თავისი მდგომარეობა თავის მეზობლებთან შედარებით იმდენათ ძლიერი იყო და როცა ამ უკანასკნელთ იმდენათ ეჭირვებოდათ საურთიერთო დახმარება და კეთილი სიტყვა.

მაგრამ საქმე ამაში არ არის.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთავრობას საკითხების სიიდან გადაუდვია ერთი იმისთანა საკითხი, რომელიც სუყველა დანიშნულ საკითხებზე მეტათ მნიშვნელოვანია, ვთქვათ უფრო ცხადათ, ერთად-ერთი, რომლისგან დამოკიდებული არის ყველა სხვა საკითხები.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა კავშირი არის ქართველ ხელმძღვანელ წრეების აზრით, ამიერ-კავკასიის და რუსეთს შუა. კონფერენცია—გამოთქვათ ცხადათ-უნდა გამოვიდეს სხვების წინააღმდეგ, თუ პირიქით, იგი სხვებთან ერთად უნდა გამოვიდეს რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ ეს საკითხი მიგვაჩნია საჭიროდ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს ქვეყანაში ამიერ-კავკასია არ ყოფილა მანამ რუსეთი და ურუსეთო.

ამიერ-კავკასია დიდათ რუსული იდეიაა და რუსულ პოლიტიკურ ფიქრის შედეგი, გეოგრაფიულათ თავისი საზღვრებით შემდგარია მხოლოდ რუსეთის მპყრობელობის შემწეობით და არსებობს ამ დღიდან იმავე რუსეთის შემწეობით.

აი, ამას ყველას მხედველობაში ვიღებთ, რომ ვიძახით, რომ ჩვენ მიერ აღძრული საკითხი საჭირო და თანამედროვეა-თქო. ჩვენ გვგონია, რომ სანამ ამ საკითხების პასუხს არ მივიღებთ, მანამ მაგისთანა კონფერენციები ვერ შესძლებენ მიიღონ რომელიმე აზრი და მნიშვნელობა თუ ჩვენს და თუ უცხოელების თვალში.

არ გვესმის კიდევ, თუ რა საქმე აქვთ მთიულ ხალხს ამიერ-კავკასიასთან, და ბოლოს, რომელ მთიულების რესპუბლიკაზე ლაპარაკობს საქართველოს მთავრობა, ჩვენ კი, როგორც ვიცით არ არსებობს ჩრდილოეთ კავკასიაში მაგისთანა რესპუბლიკა.

„ორიზონი" თავის მოწინავე წერილს აბოლოვებს ასე:

გულითად ვესალმებით ამიერ-კავკასიის ერების დაახლოვებას და საურთიერთო დაცვას, და ვხედავთ, რომ მაგისთანა საერთო სასარგებლო და მშვენიერ მიზნის მისაღწევათ ჩვენ უნდა ვიყვეთ უფრო ფრთხილნი, შორს მჭვრეტელნი და რაც სულ თავია: უფრო გულწრფელნი და სწორნი.

დროა, რომ ჩვენ ნამდვილ საფუძვლებზე ავაშენოთ ჩვენი ერების კარგი მეზობლობა და შორს დავრჩეთ ძლიერების დიპლომატიურ კაბინეტებიდან, საცა მეზობლებიდან ერთი სხვის დასაზიანათ გზებს უკაფავს თავისი მოღალატე მიზნებისთვის.

დროა რადიკალური რევიზია უყოთ ამიერ-კავკასიის იმ პოლიტიკას, რომელმაც ჩვენ ამ ვითარებას მიგვახწევინა."

აი, ასე ხვდებიან „ორიზონელნი" კონფერენციას; ხოლო რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას (რასაკვირველია ორიენტაციაზე ლაპარაკიც ზედ-მეტია), თუ საჭიროდ დაინახავენ, ამას კიდეც დასძენენ დღის წესრიგში. ხოლო რომ საქართველოს მთავრობამ თვითონ დამოუკიდებლათ გადასჭრა კონფერენციის საკითხი,—ამისთვის მას, საყვედური კი არა, მადლობა ეთქმის, რადგან დრო არ იცდის, კონფერენცია მალე უნდა შესდგეს და ყოველგვარი საკითხი, რომელიც კი აღიძრება და დაისმება ამ კონფერენციაზე გადასაწყვეტათ.

—

გაზ. „აშხატავორიც (№ 171) გამოსთქვამს თავის აზრს კონფერენციის შესახებ:

„პრინციპიულ თვალსაზრისით კონფერენციის იდეის წინააღმდეგ არაფერი არა გვაქვს სათქმელი, მაგრამ საქართველოს გარეგან საქმეთა ბ. მინისტრი დიდ ფორმალურ შეცდომაშია, როცა მიმართავს როგორც სწორი სწორს, და იმავე დროს თვითნებობით, და წინათვე ნიშნავს შესადგომ კონფერენციის არა თუ მარტო დროს—დღეს და საათს—არა თუ ალაგს, არა თუ წარმომადგენლების რიცხვს, არამედ, რაც უფრო უმაგალითოა, გასარჩევ საკითხებსაც კი.

ნუ თუ ეგრე ექცევიან ტოლი-ტოლს? ეს მენშევიკურ „პოლიტიკის" ძველი ჩვეულების შეუგნებელი გამოთქმაა თუ შეგნებული დამოკიდებულობა, რომლითაც საქართველოს მთავრობას უსურვია ჩვენი თავისი უპირატესობისა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

მერე გაზეთი შემდეგს უთვლის საქართველოს მინისტრს:

1) თავისუფალ და ტოლ რესპუბლიკებთან ამისთანა ფორმით არ ლაპარაკობენ და არ ექცევიან. 2) მოწვევის მაგისთანა ჰანგი კონფერენციის მოსაკრების და გამარჯობის თვალსაზრისით დიდი შეცდომაა და ფორმალური დარღვევაა. 3) ბ. მინისტრმა უნდა ისმინოს, რომ სწორ სახელმწიფოებთან კონფერენციის მოსაწვევათ აგრევე უნდა შეთანხმება მოეხდინოს სუყველა საგანზე. 4) რომ საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობები მანამ მოიწვევდენ სომხეთის მთავრობას კონფერენციაში მონაწილეობის მიხაღებად, უნდა გამოაჩინოს ის ელემენტარული კეთილი ნება, ურომლისოდ არც ერთ შემთხვევაში და არც ერთ კონფერენციით არ შეიძლება თანხმობის მოხდენა და ერთმანეთის გაგება, სანამ ბევრი შეცდომები არ გასწორდეს.

ესე იგი საჭიროა, რომ პირველათ ხელი აიღონ ვიწრო ნაციონალისტურ და სომეხთა წინააღმდეგ პოლიტიკიდან, რომლითაც ეხლაც ბრწყინავს ადერბეიჯანის მთავრობა. საჭიროა დაანებონ ოსმალეთის დამღუპველ ორიენტაციას და ნამდვილი „სოლიდარობის" თავდები მისცენ სომხეთის რესპუბლიკას, რომელსაც სხვა და სხვა ორიენტაციებიდან და ზურგის პოლიტიკის მიზეზით ძალიან ბევრათ დაზიანებულა.

აი, მანამ არ გასწორდებიან კონფერეეციის მოსაწვევი ფორმალური და ფაქტიური ნაკლები—ეგ დარჩება მხოლოდ უსარგებლო და უაზრო დიპლომატიურ სათამაშოთ, თუმცა საერთოთ სასარგებლო და საჭირო იყვნენ ხსენებული საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი ხალხია დაშნაკელები! კიდეც გულით რომ გეთანხმებოდენ (რაც იშვიათია), მაინც უსათუოდ ჩხირკედელობა უნდა დაიწყონ და სასაცილო მდგომარეობაში (უფრო მეტად კი ტრაგიკულში!) თავი უნდა ჩაიგდონ. რაც შეეხება კონფერენციის მიზანს და იმ გარანტიას, რომელსაც გაზ. ახლავე თხოულობს, უნდა გავახსენოთ „აშხატავორელებს“ კონფერენციას სწორედ იმიტომ იწვევენ, რომ შეთანხმება მოხდეს აქ, და თუ ამგვარი შეთანხმება თავისთავად მოხდება, მაშინ კონფერენციას მადლობის მეტის რაიმეს თქმა აღარ დასჭირდება.

# წერილები სხვა-და-სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

საქართველო დამოუკიდებლობის აქტის ძალით არის დემოკრატიული რესპუბლიკა. აი რას ამბობს, სხვათა შორის, ეს ისტორიული აქტი, რომელიც გამოცხადდა ტფილისში, სასახლის თეთრ დარბაზში 1918 წელს, 26 მაისს:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა, საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“.

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც, თავისთავად ცხადია, მთავარი საფუძველი და ნიადაგია ჩვენი მომავალი კონსტიტუციის. ჩვენ ამ წერილებში სრულიადაც არ ვფიქრობთ შევეხოთ ამ მთავარი საფუძვლის უფლებრივ-პოლიტიკურ შინაარსის მნიშვნელობას ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისთვის. აქ ახლა არც საქართველოს კონსტიტუციის ფორმისა დ ხასიათის და არც მისი საკონსტიტუციო უფლების ძირითად კითხვების გამორკვევას შევუდგებით. მხოლოდ კარგათ დავიმახსოვროთ სამი რამ: საქართველოს სახელმწიფოებრივი სრული დამოუკიდებლობა, მისი მუდმივი დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წყობილების ფორმა და ნეიტრალიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამ ჟამათ საჭიროთ მიგვაჩნია ქართველ მკითხველთ მოკლეთ გავაცნოთ სხვა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური წესწყობილება, და, რადგანაც ჩვენი სამშობლო რესპუბლიკანური სახელმწიფოა, ჩვენც პირველ-ყოვლისა რესპუბლიკებზე შევჩერდებით და საფრანგეთიდან დავიწყებთ.

## ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი

საფრანგეთი წარმოადგენს ერთიან პარლამენტარულ რესპუბლიკას.

პარლამენტარული რეჟიმი, პირველათ ინგლისში დაბადებული საფრანგეთში შემოღებულ იქნა რესტავრაციის დროს 1814 წ. ხარტიით და გამტკიცდა მხოლოდ მესამე რესპუბლიკის დროს 1875 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

საფრანგეთში საკანონმდებლო ძალა-უფლება პარლამენტის ხელშია. ხოლო აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს და სამინისტროს.

პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან. ერთია დეპუტატთა პალატა, მეორე სენატი. პარლამენტის ორივე განყოფილება, როგორც პალატა ისე სენატი ცალცალკე კანონმდებლობს. მათი თანხმობა კანონმდებლობისათვის აუცილებელია. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს როგორც თვით პარლამენტს, ე. ი. პალატას და სენატს ისე პრეზიდენტს და მინისტრებს.

დეპუტატთა პალატას ირჩევს ხალხი სასაყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრით. დეპუტატებს ირჩევენ ოლქებად. 100.000 ამრჩეველზე მოდის ერთი დეპუტატი. კოლონიების წარმომადგენლობა, ალჟირის გარდა, უდრის ათს დეპუტატს. ეს ერთხელ და საბოლოოდ განსაზღვრულია.

ამრჩეველია ყოველი პოლიტიკურათ სრულწლოვანი 21 წლიდან მოქალაქე, რომელიც მუდმივად ბინადრობს იმ ადგილას, სადაც არჩევნები ხდება, უკანასკნელი ექვსი თვე მაინც. საფრანგეთში ქალებს არ აქვთ საარჩევნო უფლება. სამხედრო პირებს, თუმცა ისინი საარჩევნო სიებში ირიცხებიან, სამსახურის დროს საარჩევნო უფლებით სარგებლობა არ შეუძლიანთ. ყოველი მოქალაქე, თუ მას შესრულებია 25 წელი, შეიძლება არჩეულ იქნეს დეპუტატად, გარდა იმ პირთა, რომელთა გვარს თუ ოჯახს როდისმე უმეფია საფრანგეთში. დეპუტატთა პალატა ირჩევა 4, წლის ვადით. პალატა, ვადის გასვლის შემდეგ ერთიანად ახლდება.

სენატი უფრო კონსერვატიული დაწესებულებაა. იგი თავიდანვე წარმოადგენდა ერთგვარ კომპრომისს ძველსა და ახალს—რესპუბლიკანელთა და მონარქისტებს შორის. დროთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა. მაგრამ ამ კომპრომისის ბეჭედი მას დღესაც აზის. სენატორები ირჩევიან ცხრა წლით. თვით სენატი კი ახლდება ყოველ სამს წელიწადში მხოლოდ ნაწილობრივ (მესამედით).

სენატისთვის არ არსებობს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება. სენატორთა ასარჩევათ დეპარტამენტებში განსაკუთრებული საარჩევნო კოლეგიები სდგება, სადაც შედიან ადგილობრივი დეპუტატები, დეპარტამენტის საბჭოს წევრები და მუნიციპალურ საბჭოთაგან არჩეული დელეგატები. აი ეს კოლეგიები ირჩევენ სენატორებს. არჩევნები სამხარისხოვანია: მოქალაქენი ირჩევენ მუნიციპალურ საბჭოს წევრთ, ისინი თავის მხრით ირჩევენ დელეგატებს, უკანასკნელნი კი ზემოხსენებულ კოლეგიებში დეპარტამენტის საბჭოს წევრებთან და ადგილობრივ დეპუტატებთან ერთად ირჩევენ სენატორებს. სასენატორო ასაკი იწყება 40 წლიდან. როგორც დეპუტატები ისე სენატორები იღებენ საპარლამენტო გასამრჯელოს.

პალატა და სენატი ცალ-ცალკე საკონსტიტუციო კანონებს ვერ განიხილავს. საკონსტიტუციო კანონების გადასასინჯავათ და აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევათ აუცილებლათ საჭიროა პარლამენტის ანუ დეპუტატთა პალატის და სენატის შეერთებული კრება. ეს არის ნაციონალური კრება, რომელიც არის უმაღლესი დამფუძნებელი ძალა-უფლება. ნაციონალურ კრებას თავმჯდომარეობს სენატის თავმჯდომარე. ამაში უპირატესობა სენატს აქვს დარჩენილი. რათქმა უნდა არსებობს პარლამენტარული იმუნიტეტი, დეპუტატის პიროვნების და საპარლამენტო მოქმედების ხელუხლებლობა.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკა მუდმივი ფორმაა საფრანგეთის პოლიტიკური წყობილებისა, რომლის შეცვლა ან გადასინჯვა აკრძალულია.

როგორც ვთქვით, კანონმდებლობისათვის პალატის და სენატის თანხმობა აუცილებელია. პირველათ დეპუტატთა პალატას უნდა წარუდგინოს განსახილველათ საფინანსო და საბიუდჟეტო კანონ-პროექტები. მათი შეცვლა სენატს არ შეუძლიან. ეს არის დეპუტატთა პალატის უპირატესობა სენატის წინაშე. გარდა ამისა მხოლოდ დეპუტატათა პალატას აქვს უფლება ბრალდება წამოუყენოს და სამართალში მისცეს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები.

სამაგიეროთ სახელმწიფოებრივ მოღალატეობას და პრეზიდენტის და მინისტრების ბრალდებულებას ასამართლებს სენატი, რომელსაც ენიჭება უმაღლესი სასამართლოს დანიშნულება.

გარდა ამისა სენატის თანხმობა აუცილებელია დეპუტატთა პალატის გასაშვებათ, რისი უფლებაც აქვს კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ საშუალებისათვის მაკმაგონის შემდეგ არ მიუმართავს არც ერთს პრეზიდენტს. პალატის გაშვების დროს სენატი ხდება სრულუფლებოვანი ახალ პალატის არჩევამდე. იგი მაშინ არ კანონმდებლობს, მაგრამ თავის ძალა-უფლებას ხმარობს აღმასრულებელი ძალის, მთავრობის ზედამხედველობით და დახმარებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ორივე პალატის შეერთებული—ნაციონალური კრება ვერსალში (ჩვეულებრივი პარლამენტი პარიზშია) ყოფილ სახელმწიფო გვარეულობიდან ვერავინ ვერ დაიკავებს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს. პრეზიდენტი შეიძლება ხელმეორეთ აირჩეს, მაგრამ ამის მაგალითი არ ყოფილა ჯერ. იგი წარმოადგენს საფრანგეთს საერთაშორისო ურთიერთობაში. მას არ აქვს პარლამენტში დასწრების და მონაწილეობის ნება. იგი მოქმედებს მინისტრების საშუალებით და ურთიერთობას პარლამენტთან ამყარებს დეკრეტების გამოცემის და კანონ-პროექტების წარმოდგენის გზით.

ის იწვევს თუ ხურავს პალატების სესიებს, აქვეყნებს კანონებს და სხ. ნიშნავს მოხელეებს განაგებს სამხედრო ძალას, მართავს საგარეო საქმეებს. მას არ შეუძლიან ომის და ზავის საქმე გადაწყვიტოს უპარლამენტოდ. უფლება აქვს სენატის თანხმობით გაუშვას დეპუტატთა პალატა. მას აქვს შეზღუდული ვეტო ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, უფლება აქვს მოითხოვოს პარლამენტში მიღებული კანონის ხელმეორეთ განხილვა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უპასუხისმგებლოა პოლიტიკურათ მზგავსათ კონსტიტუციონურ მონარქისა. აქედან გამორიცხულია შემთხვევა სახელმწიფური ღალატისა. არის თუ არა ღალატი, ამას სწყვეტს დეპუტატთა პალატა, რომელიც ბრალს სდებს პრეზიდენტს უმაღლეს სასამართლოდ გაქცეულ სენატის წინაშე. პრეზიდენტის უპასუხისმგებლობას ჰფარავს მინისტრთა სოლიდარული პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტის არც ერთს წერილობითი აქტს არ აქვს ძალა მინისტრის ხელმოუწერლათ და დაუდასტურებლათ.

ამნაირათ, როგორც ამბობენ ხოლმე, რესპუბლიკის მეთაური პრეზიდენტი პრეზიდენტობს, თავმჯდომარეობს, მაგრამ არ მართავს, დაახლოვებით ისე, როგორც ინგლისის მეფე მეფობს, მაგრამ არ განაგებს.

ერთმა მწერალმა კი ასე დასწერა: უწინდელი მეფეები მეფობდნენ და განაგებდნენ ერთსა და იმავე დროს, ინგლისის დღევანდელი მეფე მეფობს, ხოლო არ განაგებს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი არ მეფობს, მაგრამ განაგებს. რაც შეეხება საფრანგეთის რესპუბლიკას, მისი პრეზიდენტი არც მეფობს და არც განაგებსო.

საკმარისია სულ ცოტათი დაუკვირდეთ რა უფლებები აქვს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ ასეთი სხარტული მისი დახასიათება შემცდარად აღიაროთ. ცხადია, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შედარებით ნაკლები უფლება უპყრია ხელთ, ვინემ ჩრ. ამერიკის შეერთებ. შტატების პრეზიდენტს, მაგრამ იგი ბევრ შემთხვევაში განსაკუთრებით მართვა-გამგეობაში, პარლამენტარულ მეფეზე უფრო ძლიერი და გავლენიანია. იგი ასე ვთქვათ, შვიდ წლიანი მეფეა. პრეზიდენტს, შეუძლიან დიდი გავლენა მოახდინოს მთელ სახელმწიფოებრივ მექანიზმის მსვლელობაზე და მრავალ მხრივ შესცვალოს მთავრობის პოლიტიკის მიმართულება.

როგორ დგება მთავრობა, სამინისტრო საფრანგეთში?

მინისტრები აღმასრულებელი ძალა-უფლების უმაღლესი წარმომადგენლებია. რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკუთვნის მინისტრების დანიშვნა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში თავისუფალი არ არის. მინისტრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც სურს პარლამენტის უმრავლესობას.

ფაქტიურად და ჩვეულებრივი უფლების ძალით ასე ხდება. პრეზიდენტი საპრემიერ-მინისტრო კაცს, უმრავლესობის ნდობა მოპოვებულს, ირჩევს და მას ანდობს მინისტრთა კაბინეთის შედგენას უმრავლესობიდან. ამ გზით შემდგარ მინისტრთა სიას პრეზიდენტი ამტკიცებს და ამნაირად დგება მინისტრთა კაბინეთი ანუ მთავრობა.

მინისტრთა კრება-თათბირი საზოგადოდ ორგვარია. ერთი მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი თავმჯდომარეობით, არკვევს საერთო პოლიტიკის მიმართულებას, მეორე მინისტრთა კაბინეთის საბჭო პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით, სწყვეტს და უძღვება მიმდინარე საკითხებს.

მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც იწვევს, სამინისტროს გადადგომას, უკეთუ პარლამენტის უმრავლესობის ნდობა დაეკარგა. აქ მოქმედებს პოლიტიკურად მხოლოდ დეპუტატთა პალატის უმრავლესობა და მისი ნდობა-უნდობლობა. მთავრობის საკითხში ფაქტიურად მხოლოდ პირველ პალატას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სენატი არაფერ შუაშია. პარლამენტარული პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სოლიდარული და ინდივიდუალური ანუ პიროვნული. სოლიდარული პასუხისმგებლობა არის, როცა უარყოფილი და დაწუნებულია მთელი სამინისტროს საერთო პოლიტიკა, იბადება მაშინ სამინისტრო კრიზისი. ამ შემთხვევაში ყველა მინისტრი, მთელი კაბინეთი უნდა გადადგეს. პიროვნული პასუხისმგებლობა კი ეხება კერძოდ ამა თუ იმ მინისტრს და მის მოქმედებას. მაგრამ აქაც პიროვნულს ჰფარავს სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა მინისტრთა კაბინეთის თავმჯდომარე თავის მინისტრს ესარჩლება პარლამენტის წინაშე და ჰფარავს მის მოქმედებას.

თავის თავად ცხადია, რომ პოლიტიკურ პასუხისმგებლობის გარდა არსებობს მინისტრთა სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მათ ასამართლებს სენატი სახელმწიფურ ღალატის ბრალდების დროს. სხვა საქმეში მათი გასამართლება შეუძლიათ აგრეთვე ჩვეულებრივ სასამართლოებს.

მინისტრები მონაწილეობენ პარლამენტში, იცავენ მთავრობის კანონ-პროექტებს, პასუხს აძლევენ დასმულ კითხვებს და შეკითხვებს (ინტერპელაციებს) და სხ.

უფლებათა დაყოფა, როგორც ეს ამერიკაშია, საფრანგეთის სახელმწიფო უფლებამ არ იცის. აქ უფრო უფლებათა შერევას აქვს ადგილი.

კანონმდებლობითი შემოქმედებაში მონაწილეობას იღებს აღმასრულებელი ძალა, პარლამენტში მინისტრები მუშაობენ, შეაქვთ კანონ-პროექტები და სხ.

მეორე მხრით პარლამენტს არ აქვს შემოზღუდული თავისი მოღვაწეობა მხოლოდ კანონმდებლობით. იგი ერევა აღმასრულებელ ძალა-უფლების კომპეტენციაშიაც. მას აქვს უფლება კანტროლის და გასამართლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და თვით პრეზიდენტის მიმართაც, კანტროლს მთავრობის მიმართ პარლამენტი ანხორციელებს ოთხი საშუალებით. ეს არის კითხვა, შეკითხვა ანუ ინტერპელაცია, საპარლამენტო ანკეტა და მინისტრთა განცხადებანი. ამგვარად საფრანგეთის რესპუბლიკაში ჩვენ გვაქვს საქმეთა უფლება ურთიერთულ შეზღუდვასა და ურთიერთულ დამოკიდებულებასთან.

არის საფრანგეთში აგრეთვე ძველი პოლიტიკური დაწესებულება, რომელსაც უმთავრესად ადმინისტრატიულ-სამოსამართლო სფეროში აქვს მნიშვნელობა და ხანდახან კანონპროექტების და განკარგულებათა გამოცემის საქმეში რჩევითი სათათბირო ხასიათი ეძლევა. ეს არის სახელმწიფო საბჭო, შემდგარი პრეზიდენტის მიერ დანიშნულ გამოცდილ პირთაგან.

მართლმსაჯულება საჯაროა და მუქთი. მოსამართლეებს სახელმწიფო ნიშნავს. მათ აქვთ დამოუკიდებლობა. არსებობს საანგარიშო პალატა სახელმწიფურ ფინანსთა საკონტროლოდ.

საფრანგეთი მეტად ცენტრალისტური სახელმწიფოა. ამიტომ იქ ადგილობრივი თვითმართველობა და თვითმოქმედება ძალზე შებოჭილია. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად რესპუბლიკანურ წესწყობილებისა მოქალაქობრივი თავისუფლება უფრო შეზღუდულია საფრანგეთში, ვინემ ინგლისში. და თუმცა იქ კანონები შედარებით კარგია, მათი კარგად შესრულების საქმე მოიკოჭლებს და ადმინისტრატიულ თვითნებობას სახელმწიფურ მართვა-გამგეობაში საპატიო ადგილი უკავია.

საფრანგეთში რესპუბლიკაა. მაგრამ ამ რესპუბლიკაში ყველაფერი დემოკრატიულად არ არის მოწყობილი. ხალხის პოლიტიკური ბატონობა იქ სრული არ არის. იგია ტიპი ეგრედ წოდებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის. იგი, როგორც თავში ვთქვით, ცენტრალისტური პარლამენტარული რესპუბლიკაა.

ეხლა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკაზე.

# ოსების ყრილობა

შინაგან საქმეთა მინისტრს პარლამენტის წევრმა მ. კლიმიაშვილმა მოხსენება წარუდგინა ოსების ეროვნულ საბჭოს სესიის კრებებისა, რომელზედაც იგი იყო წარმომადგენლათ დანიშნული ს. ცხინვალში. ამხ. კლიმიაშვილს მოჰყავს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა შორის უფრო საყურადღებოდ სცნობს შემდეგ საკითხებს, რომელიც კრებამ მიიღო.

1. საბჭომ უკამათოდ მიიღო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის აზრი ოსეთის საკითხის შესახებ.

2. კრება საქართველოს მთავრობას ნდობას უცხადებს.

3. ყაჩაღთა თარეშის წინააღმდეგ მოითხოვეს სასტიკი ზომების მიღება.

4. დუშეთის მაზრის ადმინისტრაციის განკარგულებაზე იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები გზის ბეგარაზე უნდა გავიდენ, რაც წინად არ ყოფილა, პროტესტს უცხადებს.

5. კრება იარაღის აყრას საჭიროდა სთვლის და ავალებს საბჭოს მხურვალე მონაწილეობის მიღებას ამ საქმის განხორციელებაში ადმინსტრაციასთან დახმარებით. საბჭო აარსებს ცენტრალურ კომისიას სოფლებში, რომელიც ხელმძღვანელობს ოსეთში იარაღის აყრის საქმეში და იარაღის შენახვაში.

6. ეროვნულ საბჭოს უუფლებობის გამო საბჭო სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ოსეთის ცალკე ადმინისტრატიულ ოლქად გამოყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კრებაზე გამოირკვა საჭიროება ოსეთში შეიარაღებულ ძალის ყოლისა, რომელიც უნდა შესდგეს სახალხო გვარდიის ანუ რაიმე განსაკუთრებულ რაზმის ან და ჯავის რაიონის კომისიის მილიციონერების რიცხვის ას კაცამდე გადიდებით.

8. საბჭო არჩევს სასოფლო და სარაიონო კომისრების კანდიდატებს და მთავრობა მათ ამტკიცებს.

9. საბჭომ აღნიშნა აუცილებელი საჭიროება ნორმალურ სასამართლოების, რომლების მოწყობამდი საჭიროთ სცნო შემოღებულ იქმნას დროებითი რევოლიუციონური ტრიბუნალი და ამის გამო სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თანხას ოსეთში ანარქიასთან საბრძოლველად.

10. სასურსათო სექციის თავჯდომარის მოხსენებით გამოირკვა, რომ სექციას საშუალება აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში სიმინდი და პური შეიძინოს, მაგრამ საჭირო თანხა არ მოეპოვება.

11. ჯავის ხეობაზე ჩრდილო კავკასიიდან საგზაო სექციის თავმჯდომარის მოხსენებით გამორკვეულა, რომ ოსების ეროვნ. საბჭო ენერგიულათ მუშაობს გზის გაყვანაზე; ხალხიც მას მხარს უჭერს.

12. სწავლა-განათლების სექციის მოხსენებით, ოსებს ჰქონიად სხვა და სხვა ალაგას 29 დაბალი სასწავლებელი, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭიროა პირველ დაწყებითი სასწავლებლები ანდორეთის, ზახორის და მონასტრის საზოგადოებებში, აგრეთვე აუცილებლად საჭიროა საშუალო სასწავლებელი, ვინაიდან უსახსრობის გამო ოსები ვეღარ აგზავნიან თავიანთ შვილებს ვერც ტფილისში და ვერც გორში.

კრების დადგენილებით საქართველოს მთავრობის წინაშე უნდა აღიძრას შუამდგომლობა ეხლავე გახსნას ერთი საშუალო სასწავლებელი ცხინვალში და პირველ დაწყებითი სკოლები ანდორეთში, ზახორში, მონასტერში, კახეთში ოსის სოფელში და ცხინვალშიც. სასწავლებლების მართვა-გამგეობა უნდა გადაცეს საგანგებოდ არჩეულ კოლეგიის დაწესებულებას.

13. ეროვნულ საბჭოს რეზიდენციათ არჩეულ იქმნა ცხინვალი.

14. ერობის არჩევნების შესახებ კრებაზე ორნაირი აზრი გამოითქვა:

1. ზოგნი ამბობდენ, რომ ეხლა საჭირო არ არის ერობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

2. ზოგნი კი მომხრე იყვნენ ეხლავე მიიღონ ოსებმა არჩევნებში მონაწილეობა, უკანასკნელმა აზრმა გაიმარჯვა.

15. საექიმო და სასანიტარო სექციის თავმჯდომარის მოხსენებით ოსეთში არავითარი საექიმო დახმარება არ მოიპოვება, ერთად ერთი არსებული ცხინვალში ქსენონი დარბევის შემდეგ აღარ არსებობს. მთავრობა აღარ აძლევს თანხას.

კრების დადგენილებით მთავრობას ეთხოვნება ცხინვალში გახსნილ იქმნას ქსენონის მოქმედება.

საბჭოს სესიის და მთავრობის შემდეგ იარაღის აყრის საქმეების გამგე კომისია შეუდგა მუშაობას. ნაწილობრივ უკვე მოხდა იარაღის აყრა, რომელმაც იქონია თავისი გავლენა. ხალხს მალვით იარაღი მიაქვს ჩრდილო კავკასიაში და იქ ყიდის იარაღს.

# დეპეშები.

## ომი.

სტამბოლი, 1 ნოემბერი. სამხედრო ცნობა. 30 ოქტომბერს დროებითი ზავის ჩამოგდების გამო ყველა ფრონტზე ბრძოლა შესწყდა.

ბერლინი, 1 ნოემბ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში მტერმა განაახლა იერიშები. ჰოლანდიის საზღვარსა და დეინზეს შუა, ლისის ფრონტზე, საფრანგეთის ჯარმა ჩვენ სიმაგრეებზე იერიში მოიტანა. მდინარის დასავლეთ ნაპირზე, ვომერგანის ორივე მხარეზე, კონტრ-იერიშით დავიბრუნეთ დროებით დაკარგული პოზიცია (პონტ-დე-ტეტი). დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიში მოვიგერიეთ. ამ ბრძოლებში თავი ისახელა 75 და 79 ქვეითი პოლკმა. დეინზესა და შელდის შუა ინგლისელებს და ფრანგებს ძლიერი იერიში მოჰქონდა. დეინდეს სამხრეთით გვარდიის მე-2 დივიზიამ და ფუზილერის მე-80 პოლკმა მტერს დაახევინა დეივზე-კრუშუტემის გზატკეცილზე. ოლზეგენის ორივე მხარეზე ჩვენმა არიერგარდეებმა საარტილერიო პოზიციების წინ მტერი შეაჩერეს. კორტრიკ-უჯარდეს რკინის გზის ჩრდილოეთით მომქმედი ჩვენი ჯარი, რომელმაც მტერს უკან დაახევინა, დღის განმავლობაში კოკორეს მაღლობებზე გადმოვიყვანეთ მეზობლად მომქმედ ძალებთან კონტაქტის შესანარჩუნებლად. საღამოზე ბრძოლა დასრულდა დეინზე-კრუშუნტენის გზატკეცილის დასავლეთით და კოკორე-კერკოვეს ხაზის მაღლობებზე, ესე იგი ჩვენ წინანდელ სადარაჯოების ხაზზე, 1—3 კილომეტრით აღმოსავლეთით. შელდის ველზე მტერი განაგრძობს დაბა-სოფლების განადგურებას. ინგლისელები ზარბაზნებს უშენენ ქალაქებს: ტურნეს, ვალანსიენს და პერუველიეს. ლეკუესა და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო და მზვერავთა მოქმედება გაცხოველდა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ენის მაღლობებზე მატო-პორსიენის ჩრდილო-დასავლეთით საარტილერიო ბრძოლა საშინლად გაძლიერდა. ახალი ძალებით მტერი განაგრძობდა ძლიერ იერიშებს სერტის ჩრდილო-დასავლეთით. იერიშებმა მტერს უნაყოფოთ ჩაუარა და დიდი ზარალი მიაყენა. ამ ბრძოლების სიმძიმე გადაიტანა და მტერი მოიგერია მეკლებურგის მე-89 პოლკმა. მე-75 ქვეითი პოლკმა, მე-5 დივიზიის მე-230 და 231 პოლკებმა უკანასკნელ ბრძოლებში ისევ ისახელა თავი გვარდიის მე-8 და ჰუსართა მე-11 პოლკებმა, გალიციის არმია. მაასის სამხრეთ ნაპირზე მთელი დღის განმავლობაში არტილერია მოქმედებდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. გერმანიის ჯარი დაბანაკდა მდინ. დუნაის სამხრეთ ნაპირზე, ბელგრადის და სემენდრიის ორივე მხარეზე. დუნაიზე გადასვლის დროს მტერს ხელი არ შეუშლია.

# ქალაქის გამგეობაში

ქალაქის მოურავის ამხანაგის გ. გ. კონიევის თავმჯდომარეობით გუშინ შეერთებული კრება მოხდა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მომზადება. საბჭოს მდივანმა ვ. თ. ხახანაშვილმა წაუკითხა მის მიერ შედგენილი მოხსენება ამ საგანზე, რომელმაც კამათი გამოიწვია. კადეტების წარმომადგენელი ხმოსანი სოლომონოვი იმ აზრს ატარებდა, რომ ეს კომისია ამსრულებელი კომისია უნდა იყოს და არა მოსამზადებელი კომისია, ნამეტნავად ქალაქის გამგეობის წევრთა შემცირებისა გამო. ხმოსან მ. რუსიას (სოც.-დემ.) აზრით ეს გამოიწვევს საჩივრებს, რადგანაც კანონის ძალით ქალაქის არჩევნების მომზადება მინდობილი აქვს ქალაქის გამგეობას და ქალაქის მოურავს, ამიტომ ეს კომისია მოსამზადებელ კომისიათ უნდა დარჩეს ხმოსანთა არჩევნის დღემდე, როდესაც არჩევნებისთვის კანონის ძალით სხვა კომისია უნდა შესდგეს. თვით მომხსენებელიც ბ-ნი ხახანაშვილი ამ აზრისაა. ნაც. დემ. წარმომადგენელი პ. ა. გოთუა აღნიშნავს, რომ არჩევნის კანონები, რომელიც მოთავსებულია დროებითი დებულებაში, დაძველებულია და მოითხოვს ზოგიერთს შეცვლას, რადგანაც ამ დროს განმავლობაში ჩვენი ცხოვრების პირობები ბევრად შეიცვალა. ესეც რომ არ მომხდარიყო, მაინც მთავრობა იძულებული იყო კანონის ზოგიერთა მუხლი შეეცვალა. კანონში ნაჩვენებია, რომ საბჭო ირჩევა 1919 წ. 1 იანვრამდე. რა ვადით უნდა იყოს არჩეული ახალი ხმოსნები, მას ვერ ჰპოვებთ ამ დებულებაში. ამ კანონის ძალით ჯარისკაცნი მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში და ეხლა კი არჩევნებში ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ამას კიდევ უნდა დაუმატოთ ქვეშევრდომობის საკითხი და სხვა. ხმოსანს საჭიროდ მიაჩნია გადათვალიერება ამ დებულებისა და შუამდგომლობის აღძვრისა კანონ-გამომცემელ დაწესებულებათა წინაშე კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. ხმ. რუსია ამბობს, რომ ამას ბევრი დრო დასჭირდება და არჩევნებს მაისამდე ვერ მოახდენთ არამც თუ იანვრამდე. საქართველოს პარლამენტი მალე განიხილავს კანონ-პროექტს დამფუძნებელ კრების შესახებ, რომლის ზოგიერთი მუხლი, მთავრობის ნებართვით, შეიძლება განვახორციელოთ ქალაქის არჩევნებისთვის. კამათის შემდეგ დადგენილ იქნა, რომ ეს კომისია მოსამზადებელ ფუნქციას ასრულებს. კრებამ დაადგინა, რომ ამ კომისიამ გადაათვალიეროს არჩევნების დროებითი დებულება და შენიშნოს, რა ცვლილებაა მისი აზრით საჭირო, რომ შეტანილ იქნეს ამ კანონში. ამის შემდეგ შეერთებული სხდომა გათავდა და კომისიას ცალკე ოთახში ჰქონდა სხდომა არჩევნების კანონის გადასათვალიერებლად.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნების წინასწარ მოსამზადებლად მუშაობის ხელმძღვანელობა ქალაქის გამგეობამ საბჭოს მდივანს ვ. თ. ხახანაშვილს ჩააბარა, რომლის ხელშიაც უნდა იყოს ყოველივე, რაც ამ არჩევანს შეეხება, მიწერ-მოწერა და ასრულება ქალაქის გამგეობის დადგენილებათა ამ საგანზე და სხვა.

სურამის ქალაქის თვითმართველობის თხოვნისამებრ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გაგზავნა სურამში თავისი საბაღო გამგე ი. ე. ფურცელაძე ბაღის შესაგროვებელ და სავაჭრო სამეურნეო ორგანიზაციის მოსაწყობათ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა აუკრძალოს პუშკინის ქუჩაზე წვრილმანით ვაჭრობა ტროტუარებზე და ამისთვის ალაგი მიუჩინოს ვერის მოედანზე.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა საერო გვარდიის უმთავრეს შტაბს გაუგზავნოს 1000 მან. გარდაცვლილ გვარდიელ ბაგრატ ცხონიას ქვრივის ქრისტინე ცხონიასთვის გადასაცემად.

გზათა მიმოსვლის ინჟენერმა მ. პ. ზვერეანსკიმ მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით მის შესახებ, რომ მას ნება დაერთოს ქალაქის სხვა და სხვა ალაგას დასდგას ტელეფონების „ბუტკები“ საზოგადოების სასარგებლოთ. ქალაქის გამგეობამ პრინციპიალურათ ეს აზრი მოიწონა და ნებართვის დადგენილება მიიღო. დაწვრილებითი პირობების გამორკვევა კი ქალაქის მოურავის ამხანაგს გ. გ. კონიევს მიანდო.

კერძო ელექტრონის სადგურების პატრონებმა ქალაქის გამგეობას აუწყეს, რომ ელექტრონულ მანქანების საწარმოებლათ ქალაქის გამგეობისაგან მიღებული ნავთი მათ მარტო კვირამდე და ზოგს თრშაბათამდე ეყოფათ და ამის შემდეგ უნავთობისა გამო ელექტრონის სადგურების წარმოება შეუძლებელია და ისინი ვეღარ გაანათებენ არამც თუ კერძო ბინებს, ქარხნებს და დუქნებს, აგრეთვე ქუჩებს. ქალაქის გამგეობა ცდილობს ისე მოაწყოს საქმე „დენატურატის“ განაწილებით ამ სადგურების შორის, რომ მარტო ქუჩები მაინც იყოს განათებული და კერძო პირთა თავის ბინები და დუქნები სანთლით ანუ კანდელით გაინათონ.

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ბინების ქირაზე დადებულ გადასახადის დასანიშნათ და შესაკრებათ ამორჩეულ კომისიაში ქალაქის გამგეობამ დამფასებლებათ დანიშნა მოქალაქენი: ჰასან ჯალალოვი, ვასაძე, ბესჩისნოვი, დავიდოვი, გაბაშვილი, ფეიგელმანი და ჩეტირკინი.

ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების ფუნქციის შემცირების საგანზე ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) დროებით სრულიად შესწყდეს რეკვიზიცია და ბინების ანუ ოთახის კერძო პირთა გადაცემა და 2) რაც აქამდე თხოვნებია ამ განყოფილებაში მიცემული და ამით გამოწვეული მიწერ-მოწერა გაუქმდეს.

ქალაქის საექიმო-სასანიტარო ინსპექტორის წარმოდგენილებისამებრ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: დროებით მოწვეულ ექიმთა შტატები შეამციროს, ერთის მხრივ უფულობისა გამო და მეორეს მხრივ ხოლერით ავადმყოფობის დაკლების გამო.

ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, როგორც სპეციალისტს, ქალაქის გამგეობის დადგენილებისამებრ უნდა მიეცეს ჯამაგირი იმავე ზომისა, რაც ეძლევათ ქალაქის ტეხნიკებს, ე. ი. 700 მან. თვეში, ბინით, სათბობით და განათებით.

პეტრე-პავლეს უმაღლეს დასაწყის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ ტ. დ. შარაშიძეს მაგივრად ანტონ სულამანიძე დანიშნა. ალექსანდრე ნეველის სკოლაში ხელოვნების მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ ა. ზ. ცომაია დანიშნა.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა წარმოდგენილი საექიმო-სასანიტარო ინსპექტორის მიერ წეს-რიგი იმ პირთა შემოწმებისა, რომელნიც სამსახურში შედიან ქალაქის გამგეობაში და მის დაწესებულებებში.

ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო განყოფილებამ რეკვიზიციის წესით დააკავა 56 ფუთი ასანთები ნავთი, რომელიც ნ. ს. ლუდუშაურს კავკავიდან ჩამოეტანა ურმით, რასაკვირველია ძვირ ფასში გასასყიდათ. ეს ნავთი გადაეცა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას, რომელმაც საქონელი პატრონს აღარ დაუბრუნა და დაადგინა ნავთის პატრონს ნორმალური ფასი მიეცეს.

გ. ა. მენდელეევმა, რომელიც გასულ კვირას დანიშნული იყო ქალაქის გამგეობის მდივნათ, ქალაქის სამსახურს თავი დაანება და ბ-ნ ხოშტარიასთან კერძო სამსახურში გადავიდა.

გიდრო-ტეხნიკურ კომისიის მდივნის თანამდებობის ასრულება ქალაქის გამგეობამ ინჟენერ ლ. ნ. დიასამიძეს დაავალა.

ქალაქის გამგეობის სასანიტარო-ტეხნიკურ განყოფილების გამგეს ინჟინერ ს. დ. ლისიციანს ქალაქის გამგეობამ ერთი თვით დასტური მისცა და მის თანამდებობის ასრულება ინჟენერ დ. გ. ჩისლიევს დაავალა.

რადგანაც ქალაქის გამგეობამ იჯარით მისცა რეკვიზიციის წესით ქალაქის მიერ დაჭერილი თამამშევის წისქვილი კერძო პირს, უფროსი ზედამხედველი ინჟენერი ი. ტ. ნალბანდიანი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან სალიკვიდაციოს მიცემით.

დიდუბის ბორანი მდ. მტკვარზე ქალაქის გამგეობამ იჯარით მისცა მოქალაქე სამადუროვს 6000 მანეთათ წელიწადში.

# მთავრობაში

ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელმა საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ის სამიწისმზომელო საქმეები, რაც ადერბეიჯანის რესპუბლიკის ოლქებს ეხება გადაეცეს ადერბეიჯანის მთავრობას.

რუსის ეროვნულმა საბჭომ გარეშე საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა იმ რუსებს, ვისაც საქართველოდან წასვლის მოწმობა აქვთ, მაგრამ ნატანებში არიან გაჩერებულნი, მიეცეთ ნება ბათომში ჩასვლისა.

სომხების წარმომადგენელმა გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ტფილისში არსებულ სომეხთა სახაზინო ქონების მმართველად დანიშნულია პოლკოვ. დოლუხანოვი და ამ ქონების სომხეთში გადატანის შესახებ მოლაპარაკება მასა აქვს მინდობილიო.

მთავრობამ დაადგინა გაიმართოს დონისა და ყუბანის მთავრობასთან საქონლის გამოცვლა. დაწვრილებითი და ტეხნიკური შემუშავება, თუ რა პირობებით უნდა წაიღონ მათ. ჩვენი ქონებიდან ის, რისი მიცემაც კი შეგვეძლება, ნაცვლად პურისა და სხვა სურსათ-სანოვაგოებისა, მიენდოს სასურსათო საბჭოს.

მთავრობამ დაადგინა მიეცეს საქციზო მმართველობას ავანსად ათ მილიონიან ფონდიდან 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის დაუმტკიცებლობის გამო და ამ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 55114 მან. 95 კ. ამ ოქტომბრის ხარჯების დასაფარავად.

მთავრობამ დაადგინა ბაქოს ბონების დახურდავება ჯერ ჯერობით შეჩერებულ იქმნას.

გზათა სამინისტრომ აცნობა რკინის გზათა უფროსს, რომ ფინანსთა სამინისტრომ შესაძლებლად ვერ სცნო თანახმად არსებულ კანონისა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შეტანის ვადის გადადება რკინის გზის მოსამსახურეების და მუშათათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ბრძანება გამოსცა ქ. ტფილისის მცხოვრებთა მიმართ იარაღის აყრის შესახებ:

1) ყველა ტფილისის მცხოვრებლელი გარდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა და სამხედრო მოხელეთა, რომელნიც ნამდვილ სამსახურში ირიცხებიან, სახალხო გვარდიის წევრთა, რომელთაც კანონიერი მოწმობები აქვთ მიცემული მთავარ შტაბიდან და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც თანამდებობის და კვალად ნება აქვს იარაღის ტარებისა, მოვალეა 3 დღის განმავლობაში ჩააბაროს ყოველგვარი სასროლი იარაღი (ვინტოვკები და ყველა სისტემის რევოლვერები) პატრონებით, მიუხედავათ იმისა თუნდ მათ ტარებაზე და ქონებაზე აქვთ თუ არა ნებართვა.

შენიშვნა: საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში მყოფ ოფიცერთ ნება აქვთ ერთ ვინტოვკის და ერთ რევოლვერის ქონებისა, სამხედრო მოხელეებს კი ერთი რევოლვერისა.

2) პირველ მუხლში ნაჩვენებ პარაღის ჩაბარება სწარმოებს ტფ. საკომენდანტო მართველობაში (გოლოვინის პრ. № 7 სასახლის პირდაპირ) და ყოველ ჩაბარებულ იარაღზე პატრონს ეძლევა შესაფერისი კვიტანცია.

3) ის პირნი, ვინც ამ დროზე საკომენდანტო მართველობაში არ ჩააბარებენ მათ კუთვნილ იარაღს რევოლვერ-ვინტოვკებს, გარდა იმისა, რომ ამ იარაღს კონფისკაციის წესით ჩამოართმევენ, ისინი ადმინისტრატიულ წესით ციხეში დაპატიმრებულ იქნებიან ექვსი თვის ვადით და შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე კი განდევნილ იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

4) ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

—

თანახმად სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნისა და დამატებით მთავრობის ათ ოქტომბრის დადგენილებისა, გაეხსნას ტფ. სახაზინო პალატის მართველს 3000 მან. კრედიტი მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა რევიზიისათვის საჭირო სამგზავრო ხარჯების დასაფარავად.

—

მთავრობამ დაადგინა: მიეცეს განათლების მინისტრს 25000 მანეთი ტფ. საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის სასწრაფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ იმ პირობით, რომ ეს ფული დაუბრუნდეს ათ მილ. ფონდს ხსენებული სასწავლებლის თანხიდან დამტკიცების შემდეგ.

—

მიეცეს განათლების მინისტრს გაგრის რეალურ სასწავლებლის და ორ პირველ დაწყებით სკოლათა ხარჯების დასაფარავად 15000 მან. ათ მილიონ ფონდიდან.

—

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს დახმარება აღმოუჩინოს იმ მუშა მოსამსახურეებს, რომელთაც არავითარი შრომის უნარი არა აქვთ; ეს დახმარება უნდა მიეცესთ ინვალიდ მუშებს შინაგან სამინისტროში ამ მიზნით არსებულ თანხებიდან.

—

საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა და შტატები განხილულ იქმნას სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი ამიერ-კავკასიაში მეაფთიაქეთა კოოპერატიული საზოგადოების „ზაკოს" გამგეობის მთავრობასთან ხელშეკრულება საზღვარ-გარეთიდან წამლები და სხვა სააფთიაქო საქონლის შემოტანის შესახებ მოწონებულ იქმნას იმ პირობის დაცვით, რომელიც საჭიროდ დაუნახავს სახელმწიფო კონტროლიორს თავის დასკვნაში. ამ ხელშეკრულების ხელის მოწერა მიენდოს ფინანსთა მინისტრს.

—

მთავრობამ დაადგინა დაევალოს გზათა სამინისტროს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ დამზადებული შეშის ტფილისში ჩამოსატანად.

—

მთავრობამ დაადგინა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი და დებულებანი საქართველოს ეკლესიის ქორწინება-გაქორწინების (12 სექტ. 1918 წ. თარიღით № 3170) გადასცეს განსახილველად და თავისი აზრის დასასკვნელად კომისიას, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთაგან შემდგარს, საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელის მონაწილეობით.

—

მთავრობის 23 ოქტომბრის დადგენილება სომხეთის ხვედრი ბონების მიცემის შეჩერების შესახებ გაუქმებულ იქნა.

—

სასურსათო სამინისტროს საბჭოს სხდომაზე 1 ნოემბერს საბჭოს თავმჯდომარის მესამე ამხანაგად არჩეულ იქმნა აგრონომი ვას. ვ. კანდელაკი.!

—

სასურსათო სამინისტრო ფოთის ბიუროს სარევიზიოთ და ყუბანში პურის გაცვლა გამოცვლის საკითხის მოსაგვარებლად აგზავნის სამინისტროს საბჭოს წევრს ს. ი. დიადკინს

—

გაეხსნას იუსტიციის სამინასტროს 17.250 მ. დამატებითი კრედიტი გორის, თელავის, სიღნაღისა და დუშეთის სამაზრო საპყრობილეთა ზედამხედველების ჯამაგირების გასადიდებლად

—

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აცნობა სახალხო განათლების სამინისტროს, რომ სამინისტროს წარმომადგენლად თანახმად თქვენი თხოვნისა თავად-აზნაურობისაგან მამულების მიმღებ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად დანიშნულია პირადი მდივანი მინისტრისა ს. რ. გ. წერეთელი.

—

გაიმართოს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა, საერთო წესით, ხოლო ნავთი დარჩეს გარეშე გასაცვლელ საქონლათ.

—

თანახმად ფინანსთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნისა, გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 674.778 მ. 34 კ. კრედიტი ტფ. გუბერნიის საპყრობილეთა შესანახად მიმდინარე 1918 წ. მეორე ნახევარში; დაევალოს იუსტიციის მინისტრს დაუყოვნებლივ წარუდგინოს პარლამენტში ამ დადგენილების კანონ-პროექტი: აღნიშნული ფონდი დაუბრუნდეს იუსტიციის სამინისტროს, თანხებიდან, საპყრობილეთა ხარჯთ-აღრიცხვის და შტატების პარლამენტის დამტკიცების შემდეგ.

—

მიეცეს ასირიელ ეროვნულ კომიტეტს ერთდროულ დახმარების სახით სირიელ ლტოლვილთა თავის ქვეყანაში დასაბრუნებლად 15.000 მ. ლტოლვილთა თანხიდან.

# ხიდის აფეთქება

რკინის გზის ხიდის აფეთქების შესახებ გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა მიიღო მთავრობის თავმჯდომარისაგან: „რკინის გზის ხიდი სადგურ ქსანთან, უცნობ ბოროტგანმზრახველთაგან 1 ნოემბერს აფეთქებულია. ვინაიდან ყველა ხიდები დაწყებული სადგურ ხაშურიდან ფოილომდე რკინის გზის მილიციის დარაჯობის ქვეშ იმყოფება, გთხოვთ დაუყოვნებლივ მოახდინოთ ფიცხელი და მკაცრი გამოძიება და დამნაშავენი ხიდის დაცვის საქმის დაუდევრობაში დაითხოვოთ სამსახურიდან და დააპატიმროთ და საქმეს კი კანონიერი მსვლელობა მისცეთ. გარდა ამისა, მე საჭიროდ ვრაცხ მთელ რკინის გზაზე სამხედრო წესები გამოცხადდეს და გზის დაცვა გადაეცეს სამხედრო მინისტრს.

—

გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა გუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს:

„თქვენი ტელეფონოგრამის გამო მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დაზიანებულია ხიდის მხოლოდ ქვემო ნაწილი და თვით დაზიანება დიდათ სერიოზული არ არის. ყოველი ზომაა მიღებული ხიდის შესაკეთებლად და მაქვს იმედი, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში აღსდგება მთლიანი მოძრაობა. სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა არ შეწყვეტილა. სწარმოებს მხოლოდ მგზავრთა გადასხმა მატარებლიდან მატარებელში. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ საყოველთაო დაცვა რკინის გზის ლიანდაგისა არასოდეს არ შეადგენდა სარკინისგზო მილიციის დანიშნულებას, რომლის მოვალეობა განისაზღვრებოდა მხოლოდ სადგურთა საზღვრების დაცვით. წინად გზას იცავდა სამხედრო ძალები და სარკინისგზო სამხედრო რაზმს აქამდეც არ შეუწყვეტია თავისი მოქმედება საყოველთაოდ მთელი რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე. ხიდის დარაჯნი, რომლებიც შეპყრობილ იქნენ ხიდის აფეთქების შემდეგ ეკუთვნიან სამხედრო ნაწილებს. თქვენი ბრძანებისა გამო მთელ რკინის გზაზე სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ ჩემ მიერ მიღებულია სათანადო ზომები".

## განცხადებები

# დაკარგულია.

1. უვადო პასპორტი № 1038, მიღებული ქ. ქუთაისის სამმართველოდან 6 ენკენისთვეს 1916 წ. 2. რკინის-გზის დუბლიკატი ერთი ვაგონ ღვინის ელიზავეტოპოლიდან ფოთში გაგზავნილ ბსავგურენოს № 34215. 3. დამოენის კვიტანცია გადახდილ გადასახადის. 4. ხელწერილი, 1.349 მ. 52 კ. მიცემული ქუთაისის ვაჭარ—ეზიკოვიდან. 5. რკინის-გზის მოწმობა ცარიელ კასრის გამოგზავნის 31 აგვისტოს 1918 წ. და სხვა საბუთები, მიცემული იცეკ იაკობის ძე პინჩევსკის სახელზე. მპოვნელს სთხოვენ მიიტანოს სასტუმრო „ნოეში", რის შემდეგ მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 974 1—1

ქ. ტფილის მე-4 მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1 თებერვალს 1918 წ. გარდაცვალებულის სტეფანე კონდრატის ძე პანტიუხოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 968 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 12, დილის 10 საათზე მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კავკასიის ფრონტის სამხედრო მიმოსვლის სამმართველოს მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ყავას და სხვა და სხვა საქონელს და აგრეთვე საზოგადოების მაღაზიის მოწყობილობას, შეფასებულს 2.180 მ. ვაჭრობა მოხდება საპიორნი ქუჩაზე, № 26, მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიაში. 978 3—2

დავკარგე „ფარმატივტიული კონდუიტნი სპისოკი", მოცემული ტფილისის საგუბერნიო საექიმო განყოფილებიდან ა. კახნიაშვილის სახელზედ. მნახველს ვსთხოვ გამოგზავნოს ქ. გორში, ქალაქის აფთიაქში. 983 3—2

გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარია აცხადებს, რომ სამინისტროს სამეურნეო განყოფილების გამგემ სპირიდონ ჩომახიძემ დაჰკარგა საფულე, პიროვნების მოწმობა, ხონის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, კავკასიის ბანკის ჩეკი ათასი მანეთისა ვარვარა ვაჩნაძის მიმდინარე ანგარიშიდან და ექვსასი მან. ფული. დაკარგული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ ამა წლის სექტ. 7 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუსის ზადვორნიცკთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე გრიგოლის ძე პოლიტიდიმ 14.000 მან. მიჰყიდა სტავრო დიმიტრის ძე კონსტანტინიდის მამული ქ. სოხუმში, შერვაშიძის ქუჩაზე, № 4, ზომით 175,45 ოთხკ. საჟ. შენობებით. 434 3-2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 7 დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც არონ მორდხაის ძემ გურჯიმ 40.000 მან. მიჰყიდა გრიგოლ ერისტოს ძე ჰავას მამული ქ. სოხუმში ეკატერინეს და ინჟინრის ქუჩის კუთხეში, № 6, ზომით 139,8 ოთხკ საჟ. შენობებით. სიგელი შედგენია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან ამა წლის სექტ. 3. 440 3—2

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულ ანნა პეტროსის ასულის პაპულიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პაპულიანცის ქონებაზე I ნაწ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 769 3—2

დაკარგულია ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის მიერ მოცემული მოწმობა, აკაკი ჩუბინიძის სახელზე, დუბლიკატის გამოსატანი მოწმობა მიღებული 28 ოქტომბერს 1911 წ. № 278, რომელნიც უნდა ჩაითვალონ გაბათილებულათ ქუთ. გუბ. შორაპნის მაზრის სოფ. წინსოფელში მცხოვრ. აკაკი დარისპანი ძე ჩუბინიძე. 943 3—

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივლისის 11 დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ელისაბედ გიორგის ასულის მკერავიშვილისა. 546 3—2

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტ. 16 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ოსიპ სტანისლავის ძე ბეგალსკის. 849 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ ოქტ. 11 დადგენილებით დაამტკიცა მიხეილ ზაქარიას ძე მანუჩარიანცის ნოტარიალური ანდერძი. 848 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტ. 10 დადგენილებით დაამტკიცა ევდოკია დიმიტრის ასულის ხოროლსკაიას შინაური ანდერძი. 847 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ ოქტ. 10 დაგენილებით დაამტკიცა ემილია თადეოზის ძე გელვის შინაური ანდერძი. 846 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 21, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ მარიამ მიხეილის ასულის გორბოვსკაია—ზარანსკის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს სახლის ავეჯეულობას და შეფასებულია 2.226 მ. 50 კაპ. ვაჭრობა მოხდება წმ. ნინოს სასწავლებელში, ერმოლოვის ქ., № 13. 986 1—1

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რომ მისდამი გაცემული შენახვის ბილეთები: № 57244 იაკობ იოსების ძე ტიგრანოვის სახელზე და № 57245 ივანე იოსების ძე ტიგრანოვის სახელზე 1910 წ. ოქტომბრის 14-დან, ათი წლის ვადით პირველი და თორმეტი წლის ვადით მეორე 5,000 მან. თვითეული—დაკარგულია. თუ უკანასკნელ განცხადებიდან ერთი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული ბილეთები არავინ წარმოადგინა ბანკში, ისინი გაუქმებულად ჩაითვლებიან. 808 3—2

აკაკი დარისპანის ძე ჩუბინიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამოქალაქო სასწავლებლის სამი კლასის მოწმობა № 278, მიღებული 1911 წ. 28 ოქტომბერს. მოწმობა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 149 3—2

სახალხო გვარდიის 1-ლ ბატალიონის უფროსი ხუხუნაიშვილი აცხადებს, რომ გვარდიელმა დაჰკარგა პიროვნების მოწმობა 1445-თი ნომრით, რაიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 815 9—3

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. ივლისის 24 გარდაცვალებულის ალექსანდრა ამპლეევას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ამპლეევას ქონებაზე I ნ. X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 768 3—1

ქ. ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ამა განცხადების დღიდან ექვსის თვის განმავლობაში მასთან უნდა გამოცხადდეს სიმონ პავლეს ძე ნოვომირსკი ანუ მისი ვექილი საპასუხოდ, რადგან მის წინაამდეგ აღძრულია ევგენი მარკოზის ძე ტურკევიჩის მიერ საჩივარი სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის ორ მეორე გამოცემის მე-64084 და 64085 №№-ის თითო ას მანეთიან ღირებულობის გირავნობის ფურცლების დაბრუნების შესახებ; ამასთანავე აფრთხილებს მოპასუხეს, რომ თუ ვინიცობაა იგი არ გამოცხადდა და არც წერილობითი პასუხი წარადგინა, მოჩივარის თხოვნით სხდომა იქნება დანიშნული და დაუსწრებელს განაჩენს დაადგენს სასამართლო. 923 1—2

ტფილისის ოლქის სასამართლომ ამა წლის ოქტომბრის 21 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მკრტიჩ გარსევანის ძე ახვერდოვის. 814 1—1

სისხლ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილების თანახმად ეძებენ სოფ. ტიპინოს, ციმბირის გუბ., კორსუნის მაზ. მცხოვრებს გრიგოლ პეტრეს ძე სივუშოვს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს სივუშოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაშიც აღმოჩნდება სივუშოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ იგი საოპეკუნო სამმართველოში. 822 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 22 დამტკიცებულია ამა წლის ივლისის 19 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნინო პავლეს ასულმა კელენჯიძემ 2.000 მან. მიჰყიდა ავქსენტი ოტიას ძე ჟვანიას მიწის ნაჭერი შენობით ქ. ახალ-სენაკში, ზომით 103 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 320 მან. მთავარი ამონაწერი 40 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ოქტ. 22. 830 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 6 დამტკიცებულია ამა წლის სექტ. 2 სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ივანეს ძე ენიუტინმა 33.000 მან. მიჰყიდა ირინე ალექსის ასულს ვალუთსკაიას მიწის ნაჭერი, რომელიც შეადგენს $^3/_7$ უფლებას, ზომით 360 ოთხკ. საჟ. ქ. სოხუმში ეკატერინესა და ინჟინრის ქ. კუთხეში ლიტ. „ფ" № 7.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცგადებს, რომ 1918 წ. სექტ. 6 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი გირავნობის სიგელი, რომლითაც ირინე ალექსის ასულმა ვალუისკაიამ დაუგირავა იაკობ მარკოზის ძე მიმინოშვილს მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში ინჟინრის და ეკატერინეს ქუჩის კუთხეში № 7, რომელიც შეადგენს უფლებას მიწის ნაჭრის $^3/_7$ 10.000 434 3—1

ტერეზა ფრიდრიხის ასული ბეპლე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობები, მიღებული კავკასიის ლაშქრის გზათა საქმეების უფროსის სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიიდან ედუარდ ფრიდრიხის ძე ბეპლეს სახელზე ამა წლის 22 ივნისის № 1139. და ამა წლის 13 აგვისტოს № 1685. ობლების სასამართლოს უქაზის ასლი № 259 მიღებული ამა წლის იანვრის 31. და ვექილობის ასლი მის სახელზე მიღებული მარგარიტა იულის ასულ ბეპლესგან. ვოლგო-კამის ბანკის წიგნაკები მიმდინარე ანგარიშისა ედუარდ ბეპლეს სახელზე და აზოვის ბანკის კვიტანციები ფულის მიღების შესახებ. 979 1—1